ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 1 ივნისი, 2023 №106 (9142) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

„ტურისტებს თვითნებურად ხელბორკილი დაადო და იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა“

თბილისში, კაფეში მომხდარი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინა

გვ.5

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთს არასოდეს დავუჩოქებთ!!!“

გვ.3

„მე მინდა გთხოვოთ საქართველოს წევრობა, როგორც ოჯახის წევრი, გთხოვთ აღიარებას, მხარდაჭერას. კანდიდატის სტატუსი ნიშნავს აღიარებას, აღიარებას ჩვენი დაუღალავი ბრძოლისა ევროპული იდენტობისთვის“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „გაახურა“ საქმე ხაბეიშვილმა, როდესაც ლაპარაკობს „ოცნებაზე“ რუსულიაო. კი ბატონო, ვეთანხმები, „რუსული ოცნებაა“ ნამდვილად; მაგრამ შენ ვინა ხარ ამ დროს?!“

„კობახიძე, განაგრძე პრეზიდენტის კრიტიკა, ეს მხოლოდ წაადგება საქართველოს!“

„ევროკავშირში პოლიტპატიმრებით ვერ შევალთ“

გვ.2

გედევან ფოფხაძე: „რიტორიკის დონეზე სალომე ზურაბიშვილს სწორი განცხადებები, სწორი გზავნილები, სწორი მიდგომები აქვს“

„პრიგოჟინის მხარდამჭერ რუსეთის ელიტას ესმის, რომ დათმობაზე წასვლა მოუწევს“

გვ.4

გვ.4

ვახტანგ გომელაური: „მინდა მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს თითოეული პოლიციელის მუდმივი მხარდაჭერისთვის“

გვ.5

გოგონამ ნერწყვის გაყიდვით ვალი გაისტუმრა და სახლი იყიდა

გვ.5

გოგონამ მოღალატე ბოიფრენდზე შური უჩვეულო საჩუქრით იძია

გვ.6

ვინ დაბომბა მოსკოვი?!

5 „სანოლზე იყო მიბმული“ — რიო დე ჟანეიროში ქართველი მეზღვაური მოკლეს

5 მარნეულში 16 წლის გოგოზე ბიძა სექსუალურად ძალადობდა

5 დაკავებულია ქართველი, რომელიც მკვლელობისთვის 18 წელი იძებნებოდა

6 ძალლებმა პატრონები ხანძარში დალუპვას გადაარჩინეს

1993230720223

„კობახიძე, განაგრძე პრეზიდენტის კრიტიკა ეს მხოლოდ წაადგება საქართველოს!“

პაატა ზაქარეიშვილი: „გაახურა“ საქმე ხაბეიშვილმა, როდესაც ლაპარაკობს „ოცნებაზე“ რუსულიაო. კი ბატონო, ვეთანხმები, „რუსული ოცნებაა“ ნამდვილად, მაგრამ შენ ვინა ხარ ამ დროს?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გზავნილებს, რომელიც მან ბრატისლავაში ვიზიტისას გააკეთა? დიდი აღშფოთება მოყვა საზოგადოებაში მის გამოსვლას. რისთვის ჩავიდა, იქიდან უნდა ეთქვა, რომ ნატოს სურვილებს ომი მოყვებაო? რას ნიშნავდა ეს გზავნილები? მოვისმინეთ შეფასებები, რომ პირდაპირ პუტინის სურვილებს ახმოვანებს ირაკლი ღარიბაშვილი. რას იტყვით თქვენ?

– სწორედ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე იყო მისი განცხადება. რაც ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა, ეს არაფერში არ სჭირდებოდა. მან ხაზი გაუსვა ნატოს. ეს იყო შეგნებულად გაკეთებული განცხადება. გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს კითხვა ჟურნალისტთანაც წინასწარ იყო შეთანხმებული. სხვაგვარად, არ ვიცი, რამ განაპირობა კითხვის ასე დასმა. მას სჭირდებოდა ამის თქმა და თქვა კიდეც უკრაინასთან მიმართებაში.

ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ვერასდროს ვერ იტყვის, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ არის მიზანშეწონილი. ვერ იტყვის იმიტომ, რომ ეს კონსტიტუციაში უწერია. ამის თქმა რომელიმე ოპოზიციურ ძალას შეუძლია, მაგრამ პრემიერი ამას ვერ იტყვის. ის ვალდებულია შეასრულოს ის, რაც კონსტიტუციაში უწერია. როგორც იტყვის ღარიბაშვილი, რომ ნატო არ გვინდა, მაშინვე ოპოზიციური პარტიები სარჩელს შეიტანენ მის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში.

– ამის დიდი სურვილი აქვს და ამიტომ გადაჰკრა უკრაინას?

– რა თქმა უნდა. მას სჭირდება რუსეთის პოზიციების გამყარება. ნატო რუსეთისთვის მიუღებელია. ამიტომ ქართული ჯოხი უკრაინაზე გადატეხა. შეგნებული, სტრატეგიული განცხადება, რომელ განცხადებაშიც მე ამოვიკითხე, რომ საქართველოს ნატო არ სჭირდება. ეს იყო შეტყობინება ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი და კარგად დალაგებული წინადადება, რათა საქართველოს გაეჟღერებინა რუსეთის პოზიცია და დაედასტურებინა რუსეთის გუნდში ყოფნა. იგივე გააკეთა უნგრეთში ვიზიტისას. ამას სპეციალურად აკეთებს ევროპის მოედნებზე, რათა ევროკავშირმა კარგად დაინახოს, ვის ღებულობს ევროკავშირში და ვის აძლევს კანდიდატობის სტატუსს. ევროკავშირს არ სურს, რუსეთი ბოგინობდეს ევროკავშირში. ამიტომ სწორედ რუსეთის ფაქტორის გამო არ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს. სწორედ ეს იქნება უარის თქმის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი. ჩვენი ხელისუფლება კი მხრებს აიჩეჩავს და იტყვის, ჩვენ ხომ უკრაინაზე ვლაპარაკობდით და რა შუაშია საქართველოო.

– ბოლო პერიოდია მათ მიერ მართულ ჯგუფებში ახალი ნარატივი შემოაგდეს. მოდით, არ გვინდა ნატო და ევროკავშირი და რუსეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს. ახლა, როდესაც კანდიდატის სტატუსს ველოდებით, რამდენად მიზანშეწონილია ამაზე საუბარი?

– საზოგადოებას ამზადებენ იმისთვის, რომ როდესაც ევროკავშირი გვეტყვის უარს კანდიდატის სტატუსზე, ეს არ იყოს მტკივნეულად აღქმული. ვინც ამ ანკეტს წამოეგება, ის დაიჯერებს, რომ არ გვაქვს სტატუსი, მაგრამ სამაგიეროდ დაგვიდგება დრო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარების. რა თქმა უნდა, ეს იქნება აბსოლუტურად მცდარი და არასწორი შეტყობინება, რათა საზოგადოებაში ტემპერატურა წინასწარ დააგდონ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოში არის ორი ინსტიტუტით დაცული. ნატოში გაწევრიანების ნება ქართველმა ხალხმა გამოხატა პლებისციტზე. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. შესაბამისად, სანამ ამ პლებისციტის შედეგები არსებობს, ის მუშაობს. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ჩაატაროს და თავიდან ჰკითხოს ხალხს. ვინც კი წამოაყრანტალებს, რომ ჩვენ ნატო არ გვინდა, მას უნდა ჩაჩარო პირში მუშტი და ამ მუშტს უნდა ერქვას პლებისციტი! ამიტომ არის, რომ ასე აპარებენ ხალხს ამ ამბავს. პირდაპირ ვერ იტყვიან.

– რას ცდილობს დღევანდელი ხელისუფლება. მიზანმიმართულად ანგრევენ ევროკავშირისკენ მიმავალ გზებს და ხიდებს?

– რა თქმა უნდა, ასეა. მათ არ უნდათ ევროკავშირი. მათ უნდათ გამარჯვება არჩევნებში. ამისთვის მოუწევთ არჩევნების სერიოზული გაყალბება. ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია საქართველოში ჩამოაქციოს ან შეინარჩუნოს ავტორიტარული რეჟიმი, ეს არის მხოლოდ რუსეთი. მხოლოდ მეზობელი რუსეთი აიტანს აქ ავტორიტარიზმს. არც ერთი სახელმწიფო არ იკადრებს იმას, რასაც საქართველო კადრულობს რუსეთთან მიმართებაში. ამ ლაჩრულ პოზიციას ყიდის მშვიდობად, ურცხვად იშვერს ხელს უკრაინისკენ.

– კობახიძე აცხადებს, რომ ევროკავშირი ჩვენგან მოითხოვს, სანქციები დავუწესოთ რუსეთს, ელჩების დემარში მხოლოდ ამას ნიშნავდაო.

– ევროკავშირი გვეუბნება, რომ თუ ევროპაში მოდიხარ, კეთილი ინებე და მოიქეცი ევროპულად. შენ კონსტიტუციაში გიწერია, რომ მოდიხარ ჩვენკენ. კეთილი ინებე და შეასრულე შენი ვალდებულება. კონსტიტუცია გავალდებულებს არა ფრენების აღდგენა – არ აღდგენას, არამედ ევროკავშირისკენ სიარულს. ევროკავშირმა კი მთელ მსოფლიოს უთხრა, რუსეთი არის აგრესორი, ამიტომ მე ვწყვეტ მასთან ფრენებს. თუ გინდა ევროკავშირი, იმოქმედე მისი წესებით, თუ არა და გეტყვიან, კარგად იყავი, ძმაო. ეს ყველაფერი კონსტიტუციაში გიწერია. კეთილი ინებე და შეასრულე. შენი კონსტიტუცია. აი ამაზეა ლაპარაკი.

– საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით ევროპარლამენტში. ჩვენი ხელისუფლება კი ყველანაირად ცდილობს დააკნინოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და მხოლოდ მისი კრიტიკითაა დაკავებული. რამდენად დააზიანებენ პრეზიდენტის ინსტიტუტს?

– კი არ აზიანებს, აძლიერებს. ამ ბევრ „ქართულ ოცნებას“ იმდენი ჭკუა არ ყოფნის, რომ გაჩუმდნენ. რამდენჯერაც აკრიტიკებენ და ლანძღავენ პრეზიდენტს, იმდენჯერ აძლიერებენ საქართველოს. კარგია, გააგრძელონ ასე. ვიდრე „ოცნება“ აკრიტიკებს პრეზიდენტს, ეს აძლიერებს საქართველოში პროევროპული ძალების არსებობას. ევროპელებიც კარგად ხედავენ, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ორ ინსტიტუტს შორის, პრეზიდენტსა და პარტიას შორის. კობახიძე ვინაა?! კობახიძე არაფერი არაა პრეზიდენტთან შედარებით. კობახიძე არის ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც ამ წუთში არის ძალაუფლებაში. ის არ ფლობს ძალაუფლებას. ხვალ მისმა პარტიამ შეიძლება წააგოს არჩევნები.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ევროკავშირში პოლიტპატიმრებით ვერ შევალთ“

გედევან ფოფხაძე: „რიტორიკის დონეზე სალომე ზურაბიშვილს სწორი განცხადებები, სწორი გზავნილები, სწორი მიდგომები აქვს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, გიორგი გახარიას განცხადებით, ხელისუფლება ნიადაგს ამზადებს ნატოს წევრობაზე უარისთვის. თქვენთვის რა გზავნილი იყო ღარიბაშვილის განცხადება უსაფრთხოების ფორუმზე, რომელიც რუსეთის უკრაინაში ომის დაწყების მიზეზს ეხებოდა?

– ეს იყო პირდაპირი განცხადება, არადა ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც ამ ქვეყნის პრემიერს, არა აქვს ამ განცხადების გაკეთების უფლება, რადგან მას კონსტიტუციური ვალდებულება აქვს, რომ ეს ქვეყანა შეიყვანოს ნატოშიც და ევროკავშირშიც. ეს წერია კონსტიტუციაში. თუ კონსტიტუციას ცვლიან, მაშინ ამის შესახებ ხალხმა უნდა იცოდეს. კონსტიტუცია არის ქვეყნის მთავარი კანონი და მის წინააღმდეგ ხელისუფლება ვერ წავა.

ნატო და დასავლური ცივილიზაციის ნაწილად ყოფნა ამ ქვეყნის საუკუნოვანი არჩევანია. მის წინააღმდეგ წასვლა სამშობლოს ღალატია. საკუთარ ხალხთან ომის დაანონსება რაში სჭირდებათ, გაუგებარია. ყველაზე ცუდი ომი საკუთარ ხალხთან ომია, ეს ხომ უნდა ესმოდეთ.

ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უსაფრთხო გარემოში ცხოვრების სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი. ნატოსთან დაკავშირებით რეფერენდუმიც ჩატარებულია. უკრაინა ნატოს წევრი სახელმწიფო რომ ყოფილიყო, ვერავინ გაბედავდა ომს. პუტინი არ შეიჭრებოდა უკრაინაში. ფინეთს ძალიან ძლიერი ჯარი ჰყავს და მშვენივრად იცავს თავს, მაგრამ მეტი უსაფრთხოების გარანტიების მისაღებად გადადგა ნაბიჯი და ნატოს წევრი გახდა. ამ უსაფრთხოების გარანტიებზეა საუბარი. ამ გარანტიებს ითხოვს ხალხი და ამიტომაც გაჩნდა ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში.

– პრეზიდენტ ზურაბიშვილის ხელისუფლებისადმი მიმართვა მუქარასთან დაკავშირებით, რომ მაინც იმას გავაკეთებ, რასაც ვფიქრობ, შეიძლება ნიკა გვარამიას შეწყალების გზავნილი იყო?

– არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ეს მისი გასაკეთებელია. თუმცა, ერთი კია, ყველა მისი საჯარო განცხადება, ბრიუსელში გაკეთებული განცხადებები, არის იმის წინაპირობა, რომ მან ხალხის ევროპული მისწრაფება რეალობად აქციოს და იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც მას, როგორც პრეზიდენტს აქვს, იმოქმედოს.

ხომ ცალსახაა, რომ ევროკავშირში პოლიტპატიმრებით ვერ შევალთ. ვერც ევროკავშირის წვერი ქვეყნის სტატუსს ვერ მივიღებთ. 12 რეკომენდაციიდან მე-7 რეკომენდაცია პირდაპირ ნიკა გვარამიას ეხება. იქ მხოლოდ სახელი და გვარი არ არის ჩაწერილი. პირდაპირ მედია მენეჯერზეა საუბარი. თან არც ერთი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. დანაშაული საქმის მასალებშიც კი არ იკვეთება. ეს ხომ იცის სალომე ზურაბიშვილმა, ხომ მიაწოდეს ამაზე ინფორმაცია მაინც.

არ არის მხოლოდ განცხადებები საკმარისი, რომ ევროკავშირი გვინდა და გვინდა ცივილიზებული ევროპის ნაწილი გავხდეთ. ამისთვის ქმედებაცაა საჭირო, მისი მხრიდან მაინც. ამიტომ მგონია, რომ მისი განცხადებები მისი ნაბიჯის წინაპირობაა.

– ელოდებით ამ გადაწყვეტილებას?

– დიახ, ნამდვილად ველოდები. რიტორიკის დონეზე სალომე ზურაბიშვილს სწორი განცხადებები, სწორი გზავნილები, სწორი მიდგომები აქვს. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. მან მის ხელთ არსებული ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის ნაწილი.

სტატუსი უნდა მოგვცენ ძველი დამსახურებისთვის. ამ ხალხს უნდა მისცენ და არა ამ ხელისუფლებას. გაყოფა უნდა მოხდეს ხალხისა და ხელისუფლების. ამ ქვეყნის ყველა ხელისუფალის – ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი – ყველას საგარეო კურსი იყო სწორი და ის არასდროს არც ერთ გარემოებაში არ შეცვლილა. ყველა ხელისუფლება იბრძოდა ევროპული არჩევანისა და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ეს არის ობიექტური მოცემულობა. მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლებამ გადაუხვია ამ კურსს. თუმცა, ამ გუნდმაც ბევრი გააკეთა ევროპული არჩევანისთვის.

– უვიზო მიმოსვლას ხელი კვირიკაშვილის დროს მოეწერა.

– დიახ, ამ ხელისუფლებაში იყო ხალხი, რომელიც ამ არჩევანისთვის მუშაობდა. უკრაინის ომის შემდეგ არასწორი არჩევანი გაკეთეს. ისტორიის ბოროტ მხარეს აღმოჩნდნენ. ღარიბაშვილის 24 თებერვლის განცხადება იყო წყალგამყოფი. იმ დღიდან მოყოლებული, ეს განცხადება ვერა და ვერ დაკორექტირდა. მერე იყო საბოტაჟი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. რუსული კანონპროექტი სხვა არაფერი იყო, თუ არა საბოტაჟი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ხალხმა უნდა თქვას თავისი სათქმელი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთს არასოდეს დავუჩოქებთ!!!“

„მე მინდა გთხოვოთ საქართველოს წევრობა, როგორც ოჯახის წევრი, გთხოვთ აღიარებას, მხარდაჭერას. კანდიდატის სტატუსი ნიშნავს აღიარებას, აღიარებას ჩვენი დაუღალავი ბრძოლისა ევროპული იდენტობისთვის“

– 13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ იდგა საქართველოს პრეზიდენტი და სიმბოლურია, რომ მე ვდგავარ აქ ისეთივე ევროპული ამბიციებით, რაც იყო ყოველთვის გამოთქმული, რომ საქართველოს სურს გახდეს ევროკავშირის წევრი და ჩვენ ყოველთვის მივისწრაფოდით ამისკენ – ამ სიტყვებით დაიწყო საკუთარი გამოსვლა ევროპარლამენტში საქართველოს პრეზიდენტმა და ისაუბრა იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტზე, რომელიც ახლა საქართველოს უდგას:

– ჩვენ ახლა გვაქვს მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოს ისტორიაში, როცა საქართველოს მთავრობამ და ხალხმა ერთად უნდა გადაწყვიტოს საქართველოს მომავალი. საქართველოს მოსახლეობამ ეს მომავალი და ევროპული არჩევანი უკვე გააკეთა და ეს არჩევანი გარდაუვალია გამომდინარე ჩვენი ისტორიიდან და ფასეულობებიდან. მე მივმართავ საქართველოს ხალხს, მე აქ წარმოვადგენ იმ ქვეყანას, რომლის კონსტიტუცია ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანოს, რომ გააკეთოს მაქსიმალური იმისთვის, რომ განახორციელოს საქართველოს მოსახლეობის ევროპული არჩევანი. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს ამისთვის.

ჩემმა მშობლებმა თავის დროზე, 1921 წელს დატოვეს საქართველო, რადგან დევნილი იყვნენ ბოლშევიკების მიერ. მე დავბრუნდი საქართველოში იმისთვის, რომ დავეხმარო ჩემს ქვეყანას, რომ შეუერთდეს ევროკავშირს და ამისთვის უზრუნველყოფილი იყოს უკეთესი ევროპული მომავალი.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, სააკაშვილის დროს, მე გავაკეთე ძალიან ბევრი იმისთვის, რომ რუსეთს გაეყვანა სამხედრო ბაზები ჩემი ქვეყნიდან, მაგრამ სამი წლის შემდეგ, რუსებმა ისევ გახსნეს საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ უნდა დავამყაროთ კავშირი ევროკავშირსა და საქართველოს შორის. მე ვიცი, რომ საქართველოს აქვს ძალიან ბევრი შიდა და გარე გამოწვევა და უნდა გააკეთოს ბევრი იმისთვის, რომ ეს გამოწვევები გადალახოს და მოიპოვოს კანდიდატის სტატუსი და მე ამის მჯერა.

საქართველოს ჰქონდა ძალიან მძიმე ისტორია. ჯერ ცარიზმის ქვეშ, შემდეგ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეშ და დღეს იგივე ხდება უკრაინაში.

ჩემი ევროპული მოთხოვნა საქართველოსთვის იწყება ჩვენი ევროპული წარსულით. ეს არის ის ფასეულობები, რომელსაც ჩვენ ევროპასთან ვიზიარებთ. ჩვენ ყოველთვის გვინდა ევროპული ცივილიზაცია, ეს იყო ბერძნული და რომაული ცივილიზაცია, რომელმაც დატოვა ძალიან დიდი კვალი ჩვენ მითოლოგიაში. ქრისტიანობა იყო ჩვენი იდენტობის ნაწილი, როგორც ერისა, საქართველო საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა, რათა შეენარჩუნებინა თავის იდენტობა, – განაცხადა პრეზიდენტმა.

რუსეთის მოქალაქეების ინციდენტების გარეშე მიღება ქართველების ტოლერანტობაზე მეტყველებს, მაგრამ ამას ნათელი და მკაცრი სახელმწიფო რეგულაციები უნდა ახლდეს თან. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

– როდესაც პოლიტიკურმა პოლარიზაციამ გავლენა იქონია ქართული ტოლერანტობის წარმოსახვაზე, ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ იგი ცოცხალია. საქართველომ მიიღო და წელიწად-ნახევრის განმავლობაში მასპინძლობს 80.000-ზე მეტ რუსს.

მოდით, დავფიქრდეთ, რას ნიშნავს იმ ქვეყნიდან მოქალაქეების მიღება, რომელსაც შენი ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული და მართავს ყველაზე სასტიკ ომს შენი მეგობრის, უკრაინის – წინააღმდეგ. ის, რომ ეს რამე სერიოზული ინციდენტების გარეშე მოხდა, საქართველოს ტოლერანტობაზე მეტყველებს. ამაყები შეგვიძლია და უნდა ვიყოთ, მაგრამ ამას თან უნდა ახლდეს ნათელი და მკაცრი სახელმწიფო რეგულაციები, რათა ტოლერანტობამ გზა არ გაუხსნას ფრუსტრაციასა და ესკალაციას, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

„ჩვენ ახლა გვაქვს მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოს ისტორიაში, როცა საქართველოს მთავრობამ და ხალხმა ერთად უნდა გადაწყვიტოს საქართველოს მომავალი“

პრეზიდენტის თქმით, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან საქართველოს მთავრობები პრო-ევროპულ პლატფორმებს წინ აყენებდნენ და ყველას მუდმივი პროგრესი მოჰქონდა ამ გზაზე.

– პრეზიდენტმა გამსახურდიამ საქართველო თავისუფალი სახელმწიფოების ევროპულ რუკაზე დააბრუნა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ პირველმა დააინიცირა ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაცია მისი რეფორმების დღის წესრიგის პრიორიტეტი გახადა და მისი მმართველობის დროს საქართველო სამეზობლო პოლიტიკას და აღმოსავლეთ პარტნიორობას შეუერთდა.

2012 წელს „ქართული ოცნების“ მთავრობა პროევროპული დღის წესრიგით იქნა არჩეული და ამ მხრივ ზოგიერთ საკვანძო მომენტს მიაღწია. ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ვიზალიბერალიზაცია თავის დროზე იქნა მიღწეული. კონსტიტუცია 2016 წელს შეიცვალა, რათა ევროატლანტიკური ინტეგრაცია მოეცვა და ეს ისეთი რამეა, რაც არავის არ უნდა დაგვავიწყდეს.

გამოწვევებისა და უცხოური აგრესიების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა არ ყოყმანობდა, უარი არ უთქვამს და არ შეძრწუნებულა. ის თავის პოზიციაზე იდგა. ხალხი პროევროპული კურსის ხერხემალი იყო, მხარს უჭერდა და ხანდახან წინ უძღვებოდა ან თავის მთავრობას აძალებდა, როდესაც მიყვებოდა ევროატლანტიკურ ინტეგრაციამდე გზას. გამოკითხვებმა ევროპული ინტეგრაციის მუდმივი მხარდაჭერა აჩვენეს და სამართლიანია ვთქვათ, რომ ევროპაში ბევრი ქვეყანაა, რომელსაც ევროპული ენთუზიაზმის ასეთი დონის შეშურდებოდა.

ეს გაკვეთილია დღევანდელი საქართველოს პოლიტიკისთვის – ანტიევროპულ კამპანიებს მხოლოდ პოლიტიკურ მარგინალიზაციამდე მიჰყავხარ, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას უკრაინასა და პრეზიდენტ ზელენსკის მხარდაჭერა გამოუცხადა:

– რუსეთს არასოდეს დავუჩოქებთ... როგორც ისტორიამ გვასწავლა, ჩვენი მიტოვება გამოიწვევს რუსეთის მხრიდან დაუსრულებელ აგრესიას. უკრაინაში რუსეთი პოლიტიკურად დამარცხდა, სამხედრო თვალსაზრისითაც დამარცხდა მრავალ ასპექტში. მათ ძალიან დიდი დანაკარგები აქვთ. მათ დაკარგეს ევროპის დანაწევრების, დაქსაქსვის შესაძლებლობა.

უკრაინელების მედგრობა, ძალა, მათი ისტორიული არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია და ყველა ზემოხსენებული გახლავთ იმის შედეგი, რომ რუსეთის მთავრობამ ვერ გათვალა ეს ყველაფერი, ვერც წარმოიდგენდა რუსეთი, რომ დაუმარცხებელი არ იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ უკრაინას შეუძლია გადაწყვიტოს, როდის დაიწყება სამშვიდობო მოლაპარაკებები, ევროპასთან ერთად განსაზღვროს, რა გახლავთ მშვიდობა.

ჩვენ ნამდვილად მხარში ვუდგავართ უკრაინას, მე ვსაუბრობ საქართველოს მოსახლეობის სახელით ისევე, როგორც აფხაზეთის და ცხინვალის მოსახლეობის სახელით, რადგანაც ეს ევროპული მომავალი მათთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს. თავისუფლება, მათი იდენტობის დაცვა. მე ვდგავარ იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც გამოვიდნენ აფხაზეთში, სოხუმში. აფხაზეთი არ იყიდება, რუსეთს არ დავუჩოქებთ.

მინდა აქ გამოვხატო ქართველი ხალხის მხარდაჭერა უკრაინის მოსახლეობის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინა არა მხოლოდ თავის ტერიტორიას იცავს, ის სისხლს ღვრის ყველა ჩვენგანისთვის, ევროპისთვის, მისი უსაფრთხოებისთვის, საქართველოსთვის და მისი უსაფრთხოებისთვის და მინდა აქ გამოვხატო ჩემი პირადი აღფრთოვანება პრეზიდენტ ზელენსკისა და უკრაინელი ხალხის მიმართ. მე მჯერა, რომ უახლოეს მომავალში ორივე ქვეყანას ეყოლება თავისი წარმომადგენლები ამ დარბაზში, – თქვა ზურაბიშვილმა.

აქვე, მან საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზეც ისაუბრა და თქვა, რომ „საქართველოსთვის ევროპული მოთხოვნა ქვეყნის ევროპული წარსულით იწყება“.

– ...ეს არის ის ფასეულობები, რომელსაც ჩვენ ევროპასთან ვიზიარებთ. ჩვენ ყოველთვის გვინდა ევროპული ცივილიზაცია, ეს იყო ბერძნული და რომაული ცივილიზაცია, რომელმაც დატოვა ძალიან დიდი კვალი ჩვენ მითოლოგიაში. ქრისტიანობა იყო ჩვენი იდენტობის ნაწილი, როგორც ერისა, საქართველო საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა, რათა შეენარჩუნებინა თავის იდენტობა. ასევე, ჩვენ ყოველთვის ვიყავით ქრისტიანული ავანპოსტი ამ ევროპულ ტერიტორიაზე. ეს იყო იგივე ევროპული ფასეულობები, რომლებიც იყო საქართველოში, – თქვა მან.

პრეზიდენტის თქმით, როდესაც ის ევროდეპუტატებს საქართველოს ევროპული მომავლისთვის მიმართავს, ის მათ ასევე მიმართავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვისაც.

– როდესაც მე თქვენ მოგმართავთ საქართველოს ევროპული მომავლისთვის, მე აგრეთვე მოგმართავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვისაც, რადგან ეს მომავალი მათთვისაც, ერთადერთია, რომელიც მათ თავისუფლებას, დაცვასა და იდენტობას უზრუნველყოფს, – აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო იდეალური არაა, თუმცა ამ ქვეყანამ ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდ პროგრესს მიაღწია.

– რატომ უნდა მიიღოს საქართველომ კანდიდატის სტატუსი? დღეს ჩემი სიტყვა იყო იმისკენ მიმართული, რომ ამეხსნა ჩვენი ევროპული იდენტობა, შემეხსენებინა, რომ ქართველმა ხალხმა გაიღო მსხვერპლი რუსეთის აგრესიიდან გამომდინარე და მესაუბრა იმ საკითხებზე, რა მიმართულებითაც მუშაობდა საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა. მე მინდა გთხოვოთ საქართველოს წევრობა, როგორც ოჯახის წევრი, გთხოვთ აღიარებას, მხარდაჭერას. კანდიდატის სტატუსი ნიშნავს აღიარებას, აღიარებას ჩვენი დაუღალავი ბრძოლისა ევროპული იდენტობისთვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის ჩვენი ხარვეზები და სისუსტეები. არ გვინდა, რომ ამან გადაფაროს ჩვენი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს გასული 30 წლის განმავლობაში და ეს არის მხოლოდ ერთი თაობა. ჩვენ ძალიან დიდ პროგრესს მივაღწიეთ ამ მნიშვნელოვანი რეფორმების მიმართულებით, ჩვენ იდეალურები არ ვართ, შორს ვართ აქედან. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩემი დაუღალავი გზავნილები მთავრობის მიმართ იყო, რომ მოესმინათ ხალხისთვის, თავიანთი ხალხისთვის და ერთგული დარჩენილიყვნენ თავიანთი საარჩევნო დაპირებებისა ევროპისკენ გზაზე. 12 რეკომენდაციიდან ზოგიერთი გატარდა, მაგრამ მეტი შეიძლებოდა, მეტი უნდა გაკეთებულიყო და ეს უნდა იყოს ჩვენი საერთო დავალება მომდევნო თვეებში, რომ ხელიდან არ გავუშვათ მეორე შანსი, ის შანსი, რომელსაც ქართველი ხალხი არ აპატიებს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

„კობახიძე, განაგრძე პრეზიდენტის კრიტიკა, ეს მხოლოდ წაადგება საქართველოს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პარტია სახელმწიფო ინსტიტუტი არაა, ისაა მხოლოდ პოლიტიკური ინსტიტუტი. როცა მმართველი პარტიის ხელმძღვანელი აკრიტიკებს პრეზიდენტს, ის ამით აჩვენებს, რომ პრეზიდენტი უფრო მართალია. დღეს წამყვანი ფიგურა პრეზიდენტი უფროა, ვიდრე თუნდაც მმართველი პარტიის თავმჯდომარე. ის ამ კრიტიკით აძლიერებს პრეზიდენტს. ამიტომ, ყოჩაღ, კობახიძე, განაგრძე პრეზიდენტის კრიტიკა, ეს მხოლოდ წაადგება საქართველოს.

– რას იტყვით ოპოზიციაზე? როდესაც ანტისახელმწიფოებრივ და ქვეყნისთვის დამაზიანებელ განცხადებებს ვისმენთ პრემიერ-მინისტრისგან, ამ დროს სად არის ოპოზიცია? ივანიშვილმა პირობა შეასრულა და ოპოზიცია მიწასთან გაასწორაო. რა შანსები აქვს ოპოზიციას? შეძლებს ფეხზე წამოდგომას?

– დღეს ძალიან სამარცხვინოდ იქცევა ოპოზიცია. დღეს „ქართულ ოცნებას“ არანაირი ძალა არ გააჩნია. ის არის უსუსური, მაგრამ მას აძლიერებს უაღრესად სუსტი ოპოზიცია. მართლაც „გაახურა“ საქმე ხაბეიშვილმა, როდესაც ლაპარაკობს რუსულ „ოცნებაზე“. კი ბატონო, ვეთანხმები, რუსული ოცნებაა ნამდვილად, მაგრამ შენ ვინა ხარ ამ დროს?! ეს რუსული ოცნება, ახერხებს და ყავს მხარდამჭერი და ტაშს უკრავს ის, ვისაც მისი რუსული საქმეები მოსწონს. თქვენ რას აკეთებთ?! „ოცნება“ რუსული მაინცაა და თქვენ? თქვენ რომ არავინ ხართ?! არც რუსული და არც ქართული. საერთოდ არავინ! მხოლოდ ის როლი გაქვს, რომ „ქართულ ოცნებას“ რუსული ოცნება ეძახო. რას სთავაზობ შენს ამომრჩეველს? „ქართული ოცნება“ რუსული ნაგავია, მაგრამ მე ქართული ნაგავი ვარ. აი ამას ამბობს ხაბეიშვილი და ძმანი მისნი. ის თუ რუსულია, რუსულ საქმეს მაინც აკეთებს და შენ ვინ ხარ? არაფერიც არა ხარ! ოპოზიციამ უნდა მოახერხოს და როგორმე გადავიდეს საქმეზე. მოეშვას ამ რუსულ კონტექსტს. გვითხრან, რას და როგორ აპირებენ.

– თუ ასე გააგრძელა ოპოზიციამ, რა შედეგს დადებს 2024-ის არჩევნებზე?

– ხვალ რომ იყოს 2024-ის არჩევნები, „ქართული ოცნება“ მოიგებს პირწმინდად! შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობაც მიიღოს და შემდეგ ამ ნატოს და ევროკავშირს ამოიღებს კონსტიტუციიდან, ამოიღებს პროპორციულ სისტემასაც და მერე ოპოზიცია მეყოლოს ვარდივით და იოცნებონ ვარდების რევოლუციაზე!

აშშ რუსეთს ახალ სანქციებს დაუწესებს

აშშ რუსეთს ახალ სანქციებს დაუწესებს. ამის შესახებ განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა.

– სანქციები ძირითადად შეეხება ამერიკული ტექნოლოგიის ექსპორტს რუსეთში, – თქვა ბლინკენმა.

ტექნოლოგიის ექსპორტი რუსეთში შეიზღუდება.

რუსეთმა უკრაინელ გენერლებზე ძებნა გამოაცხადა

მოსკოვის ე.წ. „დაბომბვის“ შემდეგ რუსმა ძალოვნებმა უკრაინელები ტერორიზმში დაადანაშაულეს. ძებნა გამოცხადდა უკრაინული არმიის სარდალ, გენერალ ზალუჟნიზე, აგრეთვე გენერლებზე სირსკისა და ნაევზე.

– რუსეთი მათ ტერორიზმში სდებს ბრალს, – იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

რუსი ძალოვნების ამ ნაბიჯმა კიევში მხოლოდ ღიმილი გამოიწვია:

– ზალუჟნი, სირსკი და ნაევი თავად მივლენ რუს ძალოვნებთან, რათა უკრაინის დაბომბისათვის პასუხი მოსთხოვონ და არა პირიქით, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველმა პოდოლიაკმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„პრიგოჟინის მხარდამჭერ რუსეთის ელიტას, ესმის, რომ დათმობაზე წასვლა მოუნევს“

„პუტინის ბოლოდროინდელი განცხადებები ჩავარდნილი ბირთვული შანტაჟის გაგრძელებაა“

მარიამ მჭედლიშვილი



როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ პუტინმა და ლუკაშენკომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ბელარუსის ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსების შესახებ. ლუკაშენკომ გამოაცხადა, რომ იარაღი უკვე ბელარუსშია. ამერიკაში მცხოვრები პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი მიიჩნევს, რომ პუტინის ბირთვულ შანტაჟს მსოფლიო აღარ წამოეგება. პიონტკოვსკის ამ და სხვა საკითხებზე უკრაინული მედია ესაუბრა.

ანდრეი პიონტკოვსკი:

– ბირთვული იარაღის შესახებ განცხადებები ამჯერადაც არის პუტინის მთლიანად ჩავარდნილი ბირთვული შანტაჟის გაგრძელება. ეს იყო პუტინის საგარეო პოლიტიკის ძალიან წარმატებული მოქმედი ინსტრუმენტი თითქმის 20 წლის განმავლობაში. რატომ უთხრეს უარი უკრაინასა და საქართველოს 2008 წელს ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით? იმიტომ, რომ არ მომხდარიყო პუტინის პროვოცირება. ეშინოდათ, უცებ არ გაგიჟდეს და ბირთვული იარაღი არ გამოიყენოსო. ასე გრძელდებოდა. არ ყოფილა რეაქცია ომზე საქართველოს წინააღმდეგ, ყირიმის ანექსიაზე, დონბასის დაპყრობაზე და ა. შ.

ბოლოს და ბოლოს, ამერიკელები მიხვდნენ, რომ უსასრულოდ ვერ დაუთმობდნენ. შარშან, სადღაც ოქტომბერში, პუტინი პირადად გააფრთხილეს, რომ თუ გაბედავს ბირთვული იარაღის გამოყენებას უკრაინაში, – მას უბრალოდ მოკლავენ. ამის შემდეგ თითქოს დამშვიდდა. რუსეთში განაცხადეს, ბირთვული იარაღი არც გვჭირდება, უკრაინას ქვის ხანაში კონვენციური იარაღითაც დავაბრუნებთო. ბოლო თვეების განმავლობაში ამით იყვნენ დაკავებული. შედეგს ვხედავთ – უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტურობა გაიზარდა და უკრაინელები უფრო დამაჯერებლად იგერიებენ რუსეთის შეტევებს. პუტინმა კონვენციური იარაღით უკრაინა ქვის ხანაში ვერ დააბრუნა. პუტინს ჰგონია, რომ მისი მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენებას უფრო დაიჯერებენ, თუ ის ლუკაშენკოს ზურგს ამოეფარება. ეს იაფფასიანი გათვლაა. ჯობია, პუტინმა პრიგოჟინის განცხადებებზე იფიქროს. პრიგოჟინმა თავის შესანიშნავ მანიფესტში გამოაცხადა, რომ 10 ივნისს შოიგუსა და გერასიმოვს წითელ მოედანზე საჯაროდ ჩამოახრჩობენ.

– გავრცელებულ ვიდეორგოლში პრიგოჟინი ამბობს, რომ 1 ივნისს ბახმუტიდან გამოდიან („ვაგნერელები“). ამასთან, ის იქ ტოვებს თავის მებრძოლებს, რომლებიც რუსეთის არმიას დაეხმარებიან. რა არის ეს – ტროლინგი, გამასხარავება თუ სახეში შეფურთხება?

– ეს ფურთხზე ბევრად უფრო უარესია რუსებისთვის და ბევრად უკეთესია ჩვენთვის. პრიგოჟინი ღიად ამბობს, რომ ამზადებს ბახმუტის ჩაბარებას. ის წავა და მისცემს საშუალებას რუსეთის არმიას, დაიცვას ბახმუტი. ის დარწმუნებულია, რომ არაფერი გამოუვათ.

– პრიგოჟინი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ნაწილების ბრძოლისუნარიანობა, რათა შემდეგ გადაწყვიტოს რაღაც საკითხები. თქვენი აზრით, ის ამას აფრიკაში გააკეთებს თუ რუსეთში მოიპოვებს ადგილს?

– თქვენ დაასახელეთ ორი ვარიანტი. უკრაინაში პრიგოჟინი ბრძოლას არ აპირებს. ეს მას არ აინტერესებს. მისი ამბიცია მდგომარეობს ძალაუფლებასა და რუსეთში ქონების ხელახალ გაყოფაში.

პრიგოჟინი იწყებდა იმით, რომ პუტინის მითითებით უნდა მოეხდინა არმიის ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია. უნდა თქმულიყო, რომ ისაა დამნაშავე და არა პუტინი. ბოლო ხანს მან წამოსწია ანტისაომარი თემატიკა. პრიგოჟინის მიმართვა ჯარისკაცებისადმი გადმოწერილია ბოლშევიკების ფურცლებიდან პირველი მსოფლიო ომის დროს. ზუსტად იმავეს წერდნენ ლენინი და ტროცკი. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს: გლეხებო, დატოვეთ ფრონტი და თოფებით პეტერბურგს მიაწყდით ბურჟუაზიის გასაძარცვადო. ჩნდება კითხვა – ვინ კურირებს პრიგოჟინს?

– ეს რომელიმე კონკრეტული ადამიანია?

– ამაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ჩავფიქრდეთ, რა ძირითადი გზავნილია მის საქმიანობაში? ეს გზავნილი ასეთია: ეს არის უაზრო, უტვინო ომი. ის არის უფსკრული რუსეთისათვის. ამ ომის მოგება შეუძლებელია. ჩვენ წავაგებთ.

პრიგოჟინი წყვეტს პრობლემას თავისთვის და ორგანიზებული ჯგუფისათვის, რომლის მხარდაჭერასაც ის გრძნობს. ის ჭრის პრობლემას, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების შენარჩუნება ომში დამარცხებულ ქვეყანაში. მათ უკვე ესმით, რომ მოუწევთ პირობებზე წასვლა, განსაკუთრებით, დიდი შვიდეულის-ბოლო სამიტის შემდეგ. იქ გაცხადდა, რომ არანაირი მოლაპარაკებები არ იქნება, უნდა მოხდეს საოკუპაციო ჯარების სრული გაყვანა.

ვახტანგ გომელაური პოლიციელებს – მინდა კიდევ ერთხელ, ხმამაღლა, საჯაროდ და დამსახურებულად გითხრათ მადლობა



ვახტანგ გომელაურმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას სამართალდამცველებს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის.

– დღეს ერთგვარი მადლიერების დღეა, მინდა კიდევ ერთხელ, ხმამაღლა, საჯაროდ და დამსახურებულად გითხრათ მადლობა უძილო ღამეებისთვის, სამშობლოსთვის თავდადებული სამსახურისთვის, დანაშაულთან დაუღალავი ბრძოლისთვის, საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის ფასად გადარჩენილი სხვა ადამიანების სიცოცხლისთვის.

ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო თქვენს ოჯახებს – გულშემატკივრობის, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ვახტანგ გომელაურმა სიტყვით გამოსვლისას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელების ხსოვნას, წუთიერი დუმილით პატივი მიაგო და აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი პოლიციელების გმირობაზე დგას სახელმწიფო.

– სამწუხაროდ, არაერთი ღირსეული პოლიციელი დაიღუპა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. სწორედ ასეთი პოლიციელების დაუვიწყარ ღვაწლსა და გმირულ მაგალითებზე დგას ქართული სახელმწიფო, მათ გზას განაგრძობს ქართული პოლიცია.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ამაყია, რომ ქვეყანას ასეთი ძლიერი და პროფესიონალი პოლიციელები ჰყავს:

– მეამაყება, რომ დღეს საქართველოს ჰყავს ძლიერი, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული, კანონის აღსრულებასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიცია.

პოლიციელებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღეს, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ვახტანგ გომელაური: „მინდა მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს თითოეული პოლიციელის მუდმივი მხარდაჭერისთვის“

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავრობის მხარდაჭერით, მუდმივად ზრუნავს პოლიციელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათი ანაზღაურების გაზრდაზე, პროფესიული უნარების განვითარებაზე, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნაზე, ინფრასტრუქტურის, ავტოპარკის, ტექნიკისა და აღჭურვილობის განახლებაზე, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ვახტანგ გომელაურმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სამართალდამცველებისადმი გამოხატული მუდმივი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– მოგეხსენებათ, 2022-2023 წლებში, პოლიციელების შრომის ანაზღაურება ჯამში 30%-ით გაიზარდა. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. სახელმწიფოსთვის ასევე პრიორიტეტულია პოლიციელებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, უკვე დაწყებულია მუშაობა „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს „ქალაქი“ თბილისში აშენდება და საწყის ეტაპზე, 1.000-მდე პოლიციელი მიიღებს ბინას.

მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერს ამ მნიშვნელოვანი პროექტისა და თითოეული პოლიციელის მუდმივი მხარდაჭერისთვის, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი ქვეყნის უსაფრთხოებისა და მოქალაქეების სიცოცხლის დაცვა.

– ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია. გარწმუნებთ, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ერთობლივი შემართებით შევძლებთ ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების, ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

ღირსეულად შეგესრულებინოთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობები და ყოველი სამუშაო დღის შემდეგ ოჯახებს უსაფრთხოდ, მშვიდობიანად, უვნებელი დაბრუნებოდეთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

თინათინ ყაჯრიშვილი ბრალდებებს პასუხობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რასაც მე ვეუბნებოდი. დაფინანსების გაცემის გადაწყვეტილების მიმღები კურატორი დამიკავშირდა და მკითხა, თუ რამდენად არის ნინო მენტალურად მზად ფილმის გადაღებებისთვისო. ბევრი ახსნა-განმარტების და ჩემი მხრიდან პირადი გარანტიების გაცემის შემდეგ, როგორც იქნა, დაფინანსებას მწვანე შუქი აუნთეს. ნინომ ეს წარმატება მთლიანად ზეციურ ძალებს მიაწერა, ხოლო მე გამომიცხადა, რომ ეშმაკი შემიჩნდა და ბნელ ძალად გადამაქცია.

ნინოს საქციელთან დაკავშირებით პროექტის კურატორის რეპორტმა ბიენალეს ხელმძღვანელობამდე მიაღწია. მათ დამატებითი შეხვედრა მოგვიწყვეს, სადაც ნინოს კიდევ ერთხელ განუმარტეს ბიენალეს სასწავლო კურსის პრიორიტეტი – ერთობლივი მუშაობა.

კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით, მე მივეცი ნინოს თავისუფლება, ყველა გადაწყვეტილება თვითონ მიეღო. აეყვანა ჯგუფი, წასულიყო სკაუტინგზე, მხოლოდ მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღებით შემოვიფარგლებოდი. წინასაწარმოო პროცესები მძიმედ დაიწყო, რამდენიმე დეპარტამენტის წარმომადგენელმა მალევე უარი განაცხადა ნინოსთან მუშაობაზე.

პროექტის გადარჩენის მიზნით, დიდი რისკის მიუხედავად, მე მაინც მოვაწერე ხელი ბიენალესთან დაფინანსების მიღების ხელშეკრულებას, რომელიც ფილმის დაუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსურ სანქციებს პროდიუსერს აკისრებს. თვალი დავხუჭე გაუთავებელ შეურაცხყოფასა და დამცირებაზე, იმის იმედად, რომ ნინო ადრე თუ გვიან გონს მოეგებოდა.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, ნინოს არაადეკვატურობა უფრო გამძაფრდა. მან ბიუჯეტი თავისი შეხედულებით და ცოდნით გადაიკეთა. თავიდანვე მოთხოვნილ 20.000 ევროს ჰონორარს დაუმატა ახალი ფინანსური მოთხოვნები: ქეშ რიბეითის თანხიდან წილი და ლაინ პროდიუსერის ჰონორარი. ნინომ გადაწყვიტა მიემართა კულტურის სამინისტროსთვის დამატებითი დაფინანსებისათვის. კულტურის სამინისტრო თუ დაუკმაყოფილებდა მოთხოვნას, თანხა სხვა ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო, რომელსაც ის განკარგავდა.

მალევე ნინოსგან მივიღე ახალი მოთხოვნა, რომ 10.000 ევროს სანაცვლოდ ფილმის წარმოებასთან არანაირი შეხება არ მქონდეს. ის დაუკავშირდა ჩვენს საერთო მეგობარს, ფრანგ პროდიუსერს, რომელსაც შესთავაზა ფილმის პროდიუსერობა. ეს მოლაპარაკება ნინომ ჩემს ზურგს უკან წარმართა. ჩემ და ფრანგ პროდიუსერს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, სადაც მე მას დავუდასტურე, რომ თანახმა ვარ ის გახდეს ფილმის პროდიუსერი და სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ.

როდესაც ბიენალესთან პროექტის გადაცემის საკითხის გარკვევა დავიწყე, აღმოჩნდა, რომ დაფინანსებას აძლევენ მხოლოდ იმ გუნდს, რომელიც შეარჩიეს და ნებისმიერი ცვლილება, რეჟისორის თუ პროდიუსერის, დაუშვებელია. ნინომ ამ სიტუაციიდან გამოსავლად ის მოიფიქრა, რომ მე უნდა მომეტყუებინა ბიენალე, თითქოს მე ვიყავი პროდიუსერი და ფილმს ის სხვა პროდიუსერთან ერთად გადაიღებდა. დამატებით გამოჩნდა კიდევ ერთი სირთულე, ხელშეკრულების თანახმად, თანხა ჩემი კომპანიის ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ნინომ მოითხოვა, რომ ბიენალეს მოტყუების გარდა, მისთვის ჩემი კომპანიის საბანკო ანგარიშების მართვის უფლებაც უნდა მიმეცა. ასეთ მოთხოვნებს მე უკვე ვეღარ დავაკმაყოფილებდი. ვერც ბიენალეს მოვატყუებდი და ვერც ჩემი კომპანიის ანგარიშებს ვერ გადავცემდი სხვას...

იმედია ხვდებით, აშლილობის რა მასშტაბამდე მივიდა ეს ყველაფერი...

მივწერე ბიენალეს წერილი, რომ პროექტი პირდაპირ ნინო შაბურიშვილისთვის გადაეცათ, რადგან მე აღარ შემეძლო ამ ფილმის პროდიუსერობა, ვთხოვე, გამოსავალი შემოეთავაზებინათ. ბიენალეს პასუხი იყო, რომ დაფინანსება გაცემულია გუნდზე და თუ მისი რომელიმე მონაწილე აღარ არის გუნდის წევრი, ის ანულირდება.

ამან ნინოს მორიგი ისტერია გამოიწვია. გამომიცხადა, რომ მე მისი სახით ქრისტეს დავუპირისპირდი და იუდა ვარ. არც ჩემი შვილების წყევლა ითაკილა. დამემუქრა, რომ საჯაროდ ჩემს რეპუტაციას შელახავდა და პერმანენტულ შეურაცხყოფებს შანტაჟიც დაუმატა.

და ბოლოს, მივმართავ იმ ადამიანებს, ვინც აიტაცეთ გადაუმოწმებელი ინფორმაცია და საშინელი კომენტარები გააკეთეთ ჩემი მისამართით. ეჭვი მეპარება, ჩემს ადგილზე, ამ მოცემულობაში, ამდენი გეწვალათ. 3 თვის განმავლობაში ძალისხმევა არ დამიშურებია პროექტის გადასარჩენად და ყველა შესაძლო ვარიანტზე თანახმა ვიყავი.

მინდა იცოდეს, რომ, მიუხედავად ამ საშინელი საქციელისა, არ შემიჩერებია მცდელობები ბიენალესთან კომუნიკაციის, რათა როგორმე ეს პროექტი შედგეს და ის პირდაპირ ნინოს გადაეცეს. ვნახოთ, რა გამოვა, ბოლო წერილზე მიპასუხეს, რომ რამდენიმე დღე მოგვეცით, ვნახავთ, რისი გაკეთება შეიძლებაო.

ნინო შაბურიშვილს კი სულიერ სიმშვიდეს ვუსურვებ, მასზე ყველაზე ნაკლებად ვარ გაბრაზებული, რადგანაც მესმის, რა არის რეალურად ამ საქციელის მიზეზი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისში, კაფეში მომხდარი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში, კაფე „სტრადაში" მომხდარი მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, უწყება ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს, რის შემდეგაც მის მიმართ ძებნა გამოცხადდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 25 მაისს, თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფეში, ბრალდებულმა, შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთ პირს დაზიანებები მიაყენა. დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად, დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.

– ინციდენტის დროს, ასევე საფრთხე შეექმნა კაფეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ვინაიდან, ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და იმყოფება მიმალვაში, 30 მაისს, მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება), რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს, რის შემდეგაც მის მიმართ გამოცხადდება ძებნა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მარნეულში 16 წლის გოგოზე ბიძა სექსუალურად ძალადობდა

16 წლის გოგო ბიძის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. გამაოგნებელი ამბავი მარნეულში მოხდა. გარყვნილი ქმედების ბრალდებით დაკავებულია 50 წლის კაცი, რომელიც ცოლის ძმისშვილზე სისტემატურად ძალადობდა, მოზარდს ხმის ამოღების შემთხვევაში ოჯახის წევრების მოკვლით ემუქრებოდა. 16 წლის გოგო ახლა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია.

მეზობლები ყვებიან, რომ ბიძა გოგოს სახლში ხშირად დადიოდა, თუმცა სექსუალური ძალადობის შესახებ მხოლოდ კაცის დაკავების შემდეგ გაიგეს.

ბრალდებულის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულება მოზარდის ჩვენება და ის მოკლე ტექსტური შეტყობინებებია, რომელსაც გოგონა მის მეგობრებს უგზავნიდა და შემზარავ ამბებს უყვებოდა. დაკავებული დანაშაულს არ აღიარებს.

დაკავებულია ქართველი, რომელიც მკვლელობისთვის 18 წელი იძებნებოდა

18-წლიანი ძებნის შემდეგ დორტმუნდის აეროპორტში მკვლელობაში ბრალდებული 52 წლის ქართველი დაკავეს. ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს.

კაცი გერმანიაში ქუთაისიდან ჩაფრინდა და საპასპორტო კონტროლის გავლისას, აეროპორტში, ნერვიულობა ადვილად შესამჩნევი იყო. როგორც გაირკვა, მამაკაცს სამართალდამცველები წლების განმავლობაში ეძებდნენ.

დანაშაული მან 2005 წლის ივნისში, ავსტრიაში, ქალაქ გრაცში ჩაიდინა. 29 წლის კაცი გულის არეში ქუჩაში, სასიკვდილოდ დაჭრა. ძებნილის იდენტობა თითის ანაბეჭდით დაადასტურეს.

„საწოლზე იყო მიბმული" – რიო დე ჟანეიროში ქართველი მეზღვაური მოკლეს

რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ სასტუმროში 31 წლის ილია კახაბერიძე მოკლული იპოვეს.

ადგილობრივი მედია წერს, რომ იგი საწოლზე მიბმული იყო.

მათივე ცნობით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია, ცხედარი კი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. ფაქტის შესახებ ინფორმაცია, პირველმა TV-25-მა გაავრცელა.

თუშეთში ახალგაზრდა მწყემსი გარდაიცვალა



თუშეთში ახალგაზრდა მწყემსი გარდაიცვალა. 40 წლამდე ასაკის კაცი სოფელ ხისოდან მაშველებისა და ადგილობრივების დახმარებით გადმოასვენეს. გარდაცვლილი ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ფიჩხოვანის მკვიდრია.

ადგილობრივების ინფორმაციით, მწყემსი ცხვრის გადარეკვის დროს შეუძლოდ გახდა. თავდაპირველად დახმარება ადგილზე მყოფმა პირებმა აღმოუჩინეს. თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

უამინდობის გამო, ცხედრის გადმოსასვენებლად ავიარეისი ვერ შესრულდა, ამიტომ გადმოსვენების პროცესში მაშველები ჩაერთნენ.

ცხედარი თავდაპირველად გურჯაანში, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მოგვიანებით კი საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს.

თუშეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა ყოველი წლის ოქტომბრის თვეში იკეტება და მაისის ბოლოს იხსნება. გზის გაწმენდით სამუშაოებს მძიმე ტექნიკა ასრულებს.

„ტურისტებს თვითნებურად ხელბორკილი დაადო და იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა"

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის 30 მაისს, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების მიმართ ძალადობით და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დააკავა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უმცროსი სერჟანტი ი. ც. მიმდინარე წლის 28 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების ბანაკის მიმდებარედ ქვეითად პატრულირებას ახორციელებდა, რა დროსაც ტურისტებთან შელაპარაკება მოუვიდა. მან დიდი ბრიტანეთისა და ბელორუსის მოქალაქე ტურისტებს, თვითნებურად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ხელბორკილი დაადო და რაიმე წინაპირობის არ არსებობის მიუხედავად, სამსახურებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა, რის შედეგადაც დაზიანება არავის მიუღია.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გამოძიებას აგრძელებს.

აღნიშნული დანაშაული ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გოგონამ ნერწყვის გაყიდვით ვალი გაისტუმრა და სახლი იყიდა

ბრიტანელმა 22 წლის ვებკამ-მოდელმა ლატიშა ჯონსმა საკუთარი ნერწყვის გაყიდვით არა მარტო 11 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობის ვალის გასტუმრება შეძლო, არამედ სახლიც იყიდა.

გოგონა OnlyFans-ის ვებგვერდზე 19 წლის ასაკში დარეგისტრირდა. იმ დროს ის უნივერსიტეტში კრიმინალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და მანჩესტერში სუპერმარკეტში გამყიდველად მუშაობდა, თუმცა შემდეგ გადაწყვიტა, ამ ყველაფრისთვის თავი დაენებებინა და ონლაინმოდელი გამხდარიყო. ყოფილი სტუდენტის თქმით, ის სწრაფმა და იოლმა შემოსავალმა მოხიბლა: საათში 300 ფუნტს გამოიმუშავებდა.

ჯონსის თქმით, მან მალე თაყვანისმცემლებისგან უცნაური თხოვნების მიღება დაიწყო.

– ხალხი მთხოვდა, მათთვის ლოგინის თეთრეული გამეგზავნა მას შემდეგ, რაც მათში ერთი კვირა ვიძინებდი, ასევე – გაოფლილი და ცუდი სუნის მქონე სპორტული ტანსაცმელი, წყალი ჩემი სააბაზანოდან, რომელშიც ვიბანავე, ჩემი ნახმარი კბილის ჯაგრისები, მოკლედ, ყველაფერი, რაც კი შეიძლება, ადამიანმა მოისურვოს, – განაცხადა გოგონამ.

თუმცა, მისივე თქმით, ყველაზე ხშირად მისგან ნერწყვს ითხოვდნენ. გოგონას მტკიცებით, თავიდან ამ ყველაფერს ვერ იჯერებდა. ვერ იჯერებდა იმას, რომ ნერწყვის გაყიდვით შეეძლო, გამდიდრებულიყო, თუმცა შემდეგ ამას რეგულარულად აკეთებდა.

ამჟამად ჯონსი კვირაში საკუთარი ნერწყვით სავსე რამდენიმე ქილას უგზავნის მისთვის უცნობ ადამიანებს. ყველა კლიენტს ის, მათი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა თანხას უსახელებს.

– ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ნერწყვის გაყიდვით მივიღე, 1,5 ათასი ფუნტი იყო. ვიცოდი, რომ მას ფული ჰქონდა და მანაც ეს თანხა დიდი სიხარულით გადაიხადა, – ამბობს გოგონა.

უფეხებო ყოფილმა ჯარისკაცმა ევერესტი დალაშქრა

ყოფილმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა, რომელმაც ორივე ფეხი ავღანეთში დაკარგა, ევერესტი დაიპყრო და პირველი უფეხო ადამიანი გახდა, რომელმაც ამის გეკეთება შეძლო.

2010 წელს ავღანეთში სამსახურის დროს კენტის საგრაფოს ქალაქ კენტერბერის მკვიდრმა გარი ბუდხა მაგარმა ფეხი თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობას დაადგა და შედეგად ორივე ფეხი დაკარგა, მოგვიანებით კი მიზნად დაისახა, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ევერესტი (8849 მეტრი), დაელაშქრა. ბრიტანელმა ყოფილმა ჯარისკაცმა მწვერვალზე ასვლა 17 აპრილს დაიწყო, ფეხების დაკარგვიდან ზუსტად 13 წლის შემდეგ. 18 დღე კარგი ამინდის მოლოდინში მან ევერესტის ძირში მდებარე ბანაკში გაატარა. 19 მაისს, 15:00 საათზე, უფეხებო მთამსვლელმა ევერესტის მწვერვალს მიაღწია.

მაგარი მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დაპყრობას ჯერ კიდევ 2018 წელს გეგმავდა, მაგრამ იმ დროისთვის კანონი კრძალავდა მწვერვალზე უფეხო და უსინათლო ადამიანების ასვლას. საკუთარი ოცნების ასასრულებლად მან ბევრი იბრძოლა ამ აკრძალვის გასაუქმებლად.

– ფეხების დაკარგვის გარეშე ევერესტზე ასვლას არ გადავწყვეტდი. ყველაფერი, რაც მოხდა, შესანიშნავი იყო, – განაცხადა ბრიტანელმა მთამსვლელმა.

გოგონამ მოღალატე ბოიფრენდზე შური უჩვეულო საჩუქრით იძია

ბრიტანეთში გოგონამ გაიგო, რომ ბოიფრენდი ღალატობდა და ის დაბადების დღეზე მირთმეული საჩუქრის დახმარებით ამხილა.

თავისი ბოიფრენდის დაბადების დღემდე მცირე ხნით ადრე გოგონამ გაიგო, რომ მას რომანი ჰქონდა სხვა ქალთან. ამან გოგონა ძალიან გააბრაზა და გადაწყვიტა, მასზე შური მის დაბადების დღეს ეძია. ამისთვის გოგონამ მიმართა სტეფს, იმ კომპანიის მფლობელს, რომელიც თვითმფრინავის ბილეთის სახის მქონე სასაჩუქრე სერტიფიკატებს ამზადებს. ჩვეულებრივ, მის კლიენტებს ახლობელი ადამიანისთვის მოგზაურობის მოწყობა სურთ და ამიტომ უნდათ, სიურპრიზი რაც შეიძლება ლამაზი გამოუვიდეთ. თუმცა ამჯერად მან მოტყუებული გოგონას თხოვნით განსაკუთრებული სერტიფიკატი დაამზადა წარწერით „მოღალატე".

დაბადების დღემდე რამდენიმე დღით ადრე გოგონა ბოიფრენდს მინიშნებებს უკეთებდა, რომ დუბაიში მოგზაურობას ჩუქნიდა, რომლის დათვალიერება მამაკაცს დიდი ხანია სურდა. მისი დაბადების დღის დილით გოგონამ მოღალატე ბოიფრენდს სერტიფიკატი აჩუქა. ამან მამაკაცი ძალიან გაახარა, მასზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა წარწერა: „ვიცი, რომ მღალატობ, ნაძირალავ".

წარწერის წაკითხვის შემდეგ მამაკაცი გაცეცხლდა და გოგონას სერტიფიკატი ესროლა.

– ასევე მან დამადანაშაულა, რომ თითქოსდა მის საუკეთესო მეგობართან ვიწექი. არ ვიცოდი, რა მეპასუხა ამ ნაძირალასთვის, – განაცხადა გოგონამ.

მამაკაცმა ბლოგერს ხელი პირდაპირ ეთერში მოჰკვეთა

ჩინეთის ფუცზიანის პროვინციის ქალაქ სიამინში მამაკაცი პირდაპირი ეთერის დროს თავს დაესხა ბლოგერს და ხმლით ხელი მოჰკვეთა.

ბლოგერი მეგობარს ესაუბრებოდა, როდესაც კადრში ხმალმომარჯვებული მამაკაცი გამოჩნდა. ის თავს დაესხა ბლოგერსა და მის მეგობარს. კონფლიქტის შედეგად ბლოგერმა ხელი დაკარგა, რაც სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში ბევრმა ადამიანმა ნახა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმ მომენტში ტრანსლაციას 99 ადამიანი ადევნებდა თვალს.

მომხდარის ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ გარბიან იქ მყოფი ადამიანები, რათა თავს უშველონ.

თავდასხმის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ადგილზე სასწრაფო დახმარება და პოლიცია მივიდა. გაირკვა, რომ თავდამსხმელს, სახელად ლოს, ადრე ინტერნეტით დაპირისპირება ჰქონდა ბლოგერთან და მის მეგობართან და სწორედ ეს გახდა თავდასხმის მიზეზი.

ორივე დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ხელის მოკვეთის გარდა, ბლოგერსა და მის მეგობარს დაზიანებები აღენიშნებოდათ ზურგის არეში. ამ ყოველივეს მიუხედავად, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდასხმიდან რამდენიმე საათში პოლიციამ დამნაშავეს მიაგნო და დააპატიმრა. საქმის გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვინ დაბომბა მოსკოვი?!

მოსკოვს დრონებით შეუტიეს! – ამ ინფორმაციამ მთელი მსოფლიო მოიარა. მართლაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის დედაქალაქი არავის არ დაუბომბავს. მოსკოვის დაბომბვა რუსებმა უმალ უკრაინას დაუკავშირეს.

– ესაა ნამდვილი ტერორისტულ აქტი! უკრაინელებმა საცხოვრებელ სექტორს დაარტყეს! – განაცხადა პუტინმა.

მოსკოვზე დრონებით შეტევას ფრიად ბობოქარი მოვლენები უძღოდა. რუსები უკრაინის დედაქალაქს სისტემატურად ბომბავდნენ. ეს ფრონტზე წარუმატებლობის ფონზე ხდებოდა. უკრაინელებმა შეინარჩუნეს ბახმუტი, თუმცა პუტინმა საჯაროდ ტელევიზიით განაცხადა, რომ ქალაქი აიღეს. უკრაინის ტელევიზიამ „აპოსტროფ ტივიმ“ ბახმუტიდან პირდაპირი რეპორტაჟი გადასცა. მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ ქალაქი არ არის აღებული. პუტინიც სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

პასუხად რუსებმა კიევს დაარტყეს. უკრაინელებმა რუსული რაკეტებისა თუ ირანული დრონების უმრავლესობა ჩამოაგდეს. ამან ოკუპანტები გაახელა. მათ კიევის დღეგამოშვებით დაბომბვა დაიწყეს. შედეგი არც ამან გამოიღო. რუსებიც კიევის ყოველდღიურ დაბომბვაზე გადავიდნენ. ეფექტი არც ამას მოჰყვა. ოკუპანტებმა ვერც კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურება შეძლეს, ვერც რაიმე მნიშვნელოვანი შტაბის დანგრევა. სამაგიეროდ, კიევში რუსებისადმი გაბოროტება გაიზარდა. უკრაინის სამხედრო დაზვერვის უფროსმა, გენერალმა ბუდანოვმა განაცხადა, რომ ოკუპანტებს აუცილებლად გადაუხდიან სამაგიეროს. ამას მოჰყვა მოსკოვის დაბომბვა დრონებით. უკრაინელი სამხედრო ექსპერტი კოვალენკო მოსკოვის დაბომბვის ფრიად საინტერესო ფაქტს ააშკარავებს. მისი ცნობით, მოსკოვი ჩინური წარმოების დრონებით დაიბომბა. კოვალენკო ხაზს უსვამს იმასაც, რომ დრონები პოდმოსკოვიედან გაუშვეს.

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველმა პოდოლიაკმა ასევე უარყო მოსკოვზე შეტევის ფაქტი. მისი მტკიცებით, უკრაინულ სახელმწიფოს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

აღსანიშნავია მომხდარზე დონბასელ სეპარატისტთა რეაქცია. საიტი „რუსსკაია ვესნა“ მომხდარის გამო სიხარულს ვერ მალავს. მისი აზრით, მოსკოვის დაბომბვა თურმე რუსი ხალხის კონსოლიდაციას განაპირობებს.

– რა თქმა უნდა, ჩვენ აუცილებლად დავბომბავთ მოსკოვს. მაშინ რუსები ჩვენი დრონების ჩამოგდებას ვერ შეძლებენ. ოკუპანტების ზარალიც დიდი იქნება, – ამბობს ბუდანოვი.

ამრიგად, პროვოკაცია სახელწოდებით „მოსკოვის დაბომბვა“ შედგა. მან მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ კუთხეში მიმწყვდეული რუსეთი არაფერს ერიდება და უკვე საკუთარ ხალხსაც არ ინდობს.

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. სიტუაცია დღითიდღე იძაბება.

ბაიდენი ბრიტანეთის პრემიერს შეხვდება

ბრიტანეთის პრემიერი სუნაკი მომავალ კვირას ვა-

შინგტონში გაემგზავრება. ის პრეზიდენტ ბაიდენს შეხვდება. მოლაპარაკებების ძირითადი თემაა მოახლოებული კონტრშეტევის წინ უკრაინისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა.

როგორც ცნობილია, ბრიტანეთმა უკვე გადასცა უკრაინას შტორმ შჰადოწ-ის ტიპის რაკეტები. მათ უკრაინის სამხედრო პოტენციალ მართლაც გაზარდეს.

ყველაზე ცხელი წერტილი კვლავ დონბასია

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილი კვლავ დონბასია. რუსი ოკუპანტები მთავარ აქცენტს დონეცკ-ლუგანსკის ოლქების ოკუპაციაზე აკეთებენ. რუსები უდიდეს ზარალს განიცდიან. მხოლოდ გასულ დღეს ოკუპანტებმა 410 ჯარისკაცი დაკარგეს. სულ ომის დაწყებიდან დღემდე 207. 440 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა.

ყველაზე ცხელი წერტილები კვლავ ბახმუტი, ავდეევკა და მარინკაა. გასულ დღეს ოკუპანტები ბახმუტში აქტიურ შეტევით ოპერაციებს არ ახორციელებდნენ. რუსები აქცენტს დაბომბვებზე აკეთებდნენ. დაიბომბა ბახმუტის მახლობლად მდებარე რიგი დასახლებული პუნქტი.

რაც შეეხება ავდეევკას, იქ ვითარება უცვლელია. ამჯერადაც ჩაიშალა რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, შეჭრილიყვნენ ხსენებულ დასახლებულ პუნქტში.

დაფიქსირდა ოკუპანტების აქტიურობა მარინკასთანაც. უკრაინელებმა რუსების 11 შეტევა მოიგერიეს და შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები.

უცვლელია ვითარება უკრაინის სამხრეთში. რუსები ახორციელებდნენ აქტიურ მოქმედებებს ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში. ოკუპანტები ძირითადად კვლავ უკრაინელთა პოზიციების დაბომბვებით იფარგლებოდნენ.

გრძელდებოდა პარტიზანული აქციები დროებით ოკუპირებული მელიტოპოლის, ჯანკოის, სევასტოპოლის, მარიუპოლის, ბერდიანსკის ტერიტორიებზე. ჰაერში ავარდა რუსების ყაზარმები თუ იარაღის საწყობები. ამაო გამოდგა ოკუპანტების ყველა მცდელობა, გასწორებდნენ პარტიზანებს.

მთლიანობაში რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ დაფიქსირებულა. ოკუპანტები ცდილობდნენ განეხორციელებინათ დარტყმები უკრაინელთა ზურგში და გაენადგურებინათ საწყობები, დასავლური სამხედრო ტექნიკა, ყაზარმები და ა.შ. უკრაინელები ახორციელებდნენ დარტყმებს როგორც დროებით ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიაზე, ისე რუსეთზეც. უკრაინული არმია რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებს განაგრძობს. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, განხორციელდა სოფელ შებეკინოს (ბელგოროდის ოლქი) დაბომბვა. კერძოდ, დაიბომბა სოფლის ცენტრი. რუს ჯარისკაცებს შორის არიან დაღუპულნი და დაშავებულნი. რტრ-ის ცნობით, უკრაინელებმა კრასნოდარის მხარის ჩრდილოეთ ნაწილსაც დაარტყეს. შედეგად ცეცხლი წაეკიდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას.

უკრაინელი ექსპერტი არესტოვიჩი თვლის, რომ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვები მიზნად ისახავს: 1) დანერგოს უკრაინაში პანიკა, ქაოსი, დეზორგანიზაცია; 2) აიძულოს უკრაინის ხელისუფლება, მოსკოვის წინაშე დათმობებზე წავიდეს; 3) კარს მომდგარი უკრაინული კონტრშეტევების წინ, გამოფიტოს უკრაინული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა.

მესამე მიზანი, ანუ უკრაინული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის გამოფიტვა, დღეს აქტუალურია როგორც არასოდეს. არესტოვიჩი ხაზს უსვამს, რომ კონტრშეტევის დროს რუსეთი ავიაციას აქტიურად გამოიყენებს. შესაბამისად, მოსკოვი კვლავაც შეეცდება, საჰაერო სივრცის დაცვისას, რაც შეიძლება მეტი უკრაინული რაკეტა დაიხარჯოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბოლო საკონტროლო მატჩი მსოფლიო თასამდე

1 ივნისს საქართველოს 20 წლამდე ნაკრების მსოფლიოს თასის წინ ბოლო საკონტროლო მატჩს „ავჭალაზე“, ინგლისელ თანატოლებთან გამართავს.

ამ გუნდების პირველი მატჩი 27 მაისს ასევე „ავჭალაზე“ შედგა. საწყისი 20 წუთის შემდეგ უმცროსი ბორჯღალოსნები 24:15 დაწინაურდნენ. ეს უპირატესობა 75-ე წუთამდე შენარჩუნდა, მერე კი სტუმრებმა ორი გარდასახული ლელო გაიტანეს და 41:36 გაიმარჯვეს.

რადგან ეს თამაშები სელექციას ემსახურება, უმცროს ბორჯღალოსნების განაცხადში პირველი მატჩის მსგავსად 30 მოთამაშეა. თუმცა, პირველი მატჩის შემდეგ, გუნდს რამდენიმე ლეგიონერი დაემატა. ერთია, სრული შემადგენლობის შეკრება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

„პირველი თამაშის შემდეგ რამდენიმე ლეგიონერი დაგვემატა და შემადგენლობაში ცვლილებებია, რათა ყველას მივცეთ თავის გამოჩენის და გამოცდილების შეძენის თანაბარი შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაკლია რამდენიმე ლეგიონერი. ჩვენი მიზანია, რომ მაქსიმალურად მივყვეთ სათამაშო გეგმას და გამოვასწოროთ სუსტი წერტილები, რომელიც პირველმა თამაშმა დაგვანახა. თამაშებს შორის სულ ორი სრულფასოვანი ვარჯიში გვქონდა და ასეთ მცირე დროში რთულია ყველაფრის გამოსწორება. გუნდში გავიარეთ განვლილი შეხვედრა, ვფიქრობ, ყველას გააზრებული აქვს, სად გვქონდა პრობლემები და შევეცდებით, ყველა ასპექტში უკეთესები ვიყოთ“ – ამბობს მთავარი მწვრთნელი ლადო კილასონია.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ინგლისთან ასეთია:

ხაზი: 15.ვაჟა მიქაძე, 14.ლუკა კობაური, 13.თორნიკე კახოიძე, 12.გიორგი შველიძე, 11.ლუკა ცირეკიძე, 10.პეტრე ხუციშვილი, 9.დავით ხუროშვილი;

შერკინება: 1.გიორგი მამიაშვილი, 2.თამაზ ჭამიაშვილი, 3. ლაშა ფხაკაძე, 4.გურამ ღანიაშვილი, 5.გიორგი ნიკოლაძე, 6.რატი ზაზაძე, 7.ნიკოლოზ საყვარელიძე, 8.ნიკა ლომიძე (ხარები);

მარქაფა: 16.გიგი ჭუმბურიძე, 17.ლუკა კოტორაშვილი, 18.დავით მჭედლიშვილი, 19.მურთაზ ცხადაძე, 20.ლუკა სულუაშვილი; 21.ალექსანდრე ჯილაური, 22.გელა ხელაძე, 23.დიტო ბერაია, 24.საბა არჩვაძე, 25.ლუკა სახელაშვილი, 26.დავით ბერიძე, 27.თორნიკე ღანიაშვილი, 28.ანდრო დვალი, 29.დავით ვარდანიძე, 30.დავით მჭედლიძე.

1 ივნისის მატჩის შემდეგ გუნდი დაისვენებს, 5-დან 9 ივნისის ჩათვლით დასკვნითი შეკრება გაიმართება, რის შემდეგაც გამოცხადდება სატურნირო რაზმი და გუნდი სამხრეთ აფრიკაში 13 ივნისს გაემგზავრება.

20 წლამდე მსოფლიო თასი 24 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ძაღლებმა პატრონები ხანძარში დაღუპვას გადაარჩინეს

ინგლისის ესექსის საგრაფოს სოფელში ოჯახური წყვილი ხანძარში დაღუპვას თავიანთი ძაღლების წყალობით გადაურჩა.

სახლის პატრონები დილით ადრე მათი ორი ჩიხუახუას ჯიშის ძაღლის ყეფამ გამოაღვიძა. როგორც კი სახლში ცეცხლი შენიშნეს, ძაღლებს ხელი დასტაცეს და გარეთ გამოცვივდნენ. ამ დროს სახლთან მათი ბედით შეწუხებულმა მეზობლებმა მიირბინეს. მათ ისინი ძაღლებთან ერთად ბაღში იპოვეს და სახანძრო დახმარება გამოიძახეს.

მალე ხანძარი იქვე მდგომ საჯინიბოზე გადავიდა. ადგილობრივებმა პოლიციის დახმარებით ალმოდებული საჯინიბოდან სამი ცხენის გამოყვანა შემთხვევის ადგილზე სახანძრო დახმარების მისვლამდე მოასწრეს.

– ეს წარმოუდგენელი საშინელება იყო. საჯინიბო ბოლით გაივსო, ცხენები შეშინდნენ და მათი გამოყვანა სქელი ბოლის გავლით მოგვიხდა, ზევიდან კი ნაკვერჩხლები ცვიოდა, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

მეხანძრეებმა ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს. საბედნიეროდ, აღნიშნული შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. აალება მიშენებაში მოხდა და სწრაფად მოედო მთელ შენობას. სახლის სახურავი მთლიანად დაიწვა, თავად სახლი კი საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო და ეცდება, ხანძრის გაჩენის მიზეზი დაადგინოს. აღსანიშნავია, რომ სახლი, რომელშიც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, მეორედ დაიწვა. პირველად ხანძარი 2007 წელს გაჩნდა და შემდეგ სახლი აღადგინეს.

ჰიტლერის ფანქარი აუქციონზე გაიყიდება



ფანქარი, რომელიც ადოლფ ჰიტლერს მისმა საყვარელმა ევა ბრაუნმა აჩუქა, აუქციონზე სოლიდურ თანხად გაიყიდება.

მოვერცხლილი ფანქარი წარწერებით ევა და აჰ ბელფასტში მიმდინარე წლის ივნისში გაიყიდება. ექსპერტებმა ის 50-80 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს. სავარაუდოდ, აღნიშნული ფანქარი ევა ბრაუნმა ადოლფ ჰიტლერს მის დაბადების დღეს, 1941 წლის 20 აპრილს, 52 წლისთავზე აჩუქა.

აღნიშნული ლოტი აუქციონში უკვე მეორედ მიიღებს მონაწილეობას. პირველად ის კერძო კოლექციონერმა 2002 წელს შეიძინა.

ბელფასტში გამართულ აუქციონზე ასევე გასაყიდად გამოტანილი იქნება ჰიტლერის ფოტოსურათი მისივე ავტოგრაფით, ასევე გაიყიდება პირადად დედოფალ ვიქტორიას 1869 წლის ხელნაწერი, რომელიც ირლანდიელი აჯანყებულების შეწყალებას ეხება. აუქციონის სახლის მმართველმა დირექტორმა კარლ ბენეტმა განაცხადა, რომ აუქციონზე უამრავ კოლექციონერს ელოდებიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლი შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროზინონე კვერნაძის გადაბირებითაა დაინტერესებული

იტალიური მედია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და დინამო ბათუმის გარემარბ გიორგი კვერნაძეს ფროზინონეს უკავშირებს. გუნდს, რომელმაც წელს მოიპოვა სერია ა-ს საგზური და მომავალ სეზონში უძლიერესთა შორის ითამაშებს.

აი, რას წერს იტალიური მედია:

– ფროზინონე არის კლუბი, რომელიც ახალგაზრდებს ყურადღებით აკვირდება და გაბედული ნაბიჯების გადადგმით, იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი სამაგალითონი არიან. ფროზინონეს სიაშია გიორგი კვერნაძეც – თვითნაბადი ტალანტი.

2003 წელს კვერნაძე საქართველოდან. მასზე უფლებებს დინამო ბათუმი ფლობს – ის გუნდი, სადაც კვარაცხელია ნაპოლიში ტრანსფერამდე თამაშობდა. კვერნაძეც მარცხენაფლანგელია, როგორც ნაპოლის „№77". აქვს კარგი სისწრაფე, ბურთის კარგი ფლობისა და ტექნიკის წყალობით, განსაკუთრებით ძლიერია ერთი-ერთზე. თუმცა, არც დარტყმა დაეწუნება და კარგად იყენებს მარჯვენა ფეხს. 4-3-3 სისტემით მოთამაშე გუნდისთვის იდეალური გარემარბია. სწორედ ამ თვისებებით მიიპყრო მან ფროზინონეს ყურადღება, რომელიც დიდხანს აკვირდებოდა და აფასებდა მის ტექნიკურ შესაძლებლობებს.

კლუბი ამ ტრანსფერის განსახორციელებლად სერიოზულ ნაბიჯებსაც დგამს, მაგრამ დინამო ბათუმთან შეთანხმება და საქმის ბოლომდე მიყვანა არცთუ მარტივი ჩანს.

გეტყვით, რომ კვერნაძე საბურთალოს აკადემიის აღზრდილია, გასული სეზონი თელავში გაატარა, წელს კი ბათუმში გადაბარგდა. თუმცა, ზღვისპირული გუნდის შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და სულ 7 მატჩი ითამაშა. აქედან, უმეტესი – შეცვლაზე.

თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა კვერნაძეს ივნისის თვეში ექნება, როდესაც საქართველო (რუმინეთთან ერთად) ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ეკვატორის ზღვარზე

ერთი ტურიც და ეროვნული ლიგის ნახევარი გავლილი იქნება. მე-18 ტურის ყველა მატჩი ხვალისთვის არის ჩანიშნული და საინტერესო მატჩები გველის. ტურში ლიდერთა მატჩების გარდა, თბილისურ და იმერულ დერბებსაც ვიხილავთ...

1 ივნისი

შუქურა-გაგრა

16:00. ანგისა. ჯონი ბაკუხიძე

საფეხბურთო კლუბ ქობულეთის შუქურაში დიდი ცვლილებები ტრიალებს. კლუბის კორპორატიულ დირექტორად დავით ლორთქიფანიძე დაინიშნა – 90-იან წლებში ვანის სულორის ფეხბურთელი, შემდეგ კი კლუბის პრეზიდენტი და მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი.

აღმასრულებელ დირექტორად ნიკა ფირცხალაიშვილი იმუშავებს, ხოლო ტექნიკური დირექტორის მოვალეობებს დავით ცაბაძე შეასრულებს – ყოფილი ჟურნალისტი, რომელიც შემდეგ დირექტორის თანამდებობაზე საფეხბურთო კლუბ ცხინვალში მუშაობდა.

რა შეიცვლება შუქურაში, ამას უახლოეს პერიოდში ვნახავთ. ერთია, კლუბს ბოლო პერიოდში ბევრი დავალიანება ჰქონდა. როგორც ირკვევა, ფეხბურთელების დავალიანება გასტუმრებულია, მაგრამ მწვრთნელების ვალი დარჩა.

რაც შეეხება მატჩს: ორივე გუნდი ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და რომ იტყვიან, ექვსქულიანი მატჩია. წაგება ორივე გუნდისთვის საქმეს გაართულებს. შედეგად, მეტად პრინციპული დაპირისპირებაა.

სამტრედია-სამგურალი

16:00. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

სამგურალმა ზედიზედ 8 მოგების შემდეგ, სამი მატჩი გამართა და მხოლოდ 2 ქულა აიღო. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაცია და ქულები სჭირდება, რათა ლიდერთა შორის პოზიციები არ დათმოს.

სამტრედიელთა საქმე უფრო რთულად არის – გუნდს ეროვნულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად უწევს ბრძოლა და ყველა ქულას მნიშვნელობა აქვს.

იმერული დერბი საინტერესო უნდა გამოდგეს.

საბურთალო-დინამო (თბ)

19:00. ხუსთავი. ტექნიკური ცენტრი

ტურის ცენტრალური მატჩი. საბურთალოს კარგი ტემპი აქვს აღებული – ზედიზედ 10 ტურია არ დამარცხებულა და სატურნირო ცხრილში მე-2 პოზიციაზეა.

დინამომ კი, ქულების დაკარგვას უხშირა და სამეულს მიღმა აღმოჩნდა. თუმცა, ეს არ არის „ზღვარი" – კიდევ ერთი წაფორხილება და გორის დილაც მის წინ აღმოჩნდება.

თბილისური დერბი ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანია...

დილა-თელავი

20:00. გოხი. თენგიზ ბუჩუანაძე

დილას 9 მატჩია არ წაუგია. თუმცა, გუნდი მაინც მეხუთე ადგილზეა. ერთია, ლიდერთა შორის დიდი სიმჭიდროვეა და თუ თელავს დაამარცხებენ, სამეულში შესვლაც არ არის შორს.

თელაველები რთულ მდგომარეობაში არიან. ერთია, ბოლო ოთხეულში სხვაობა მხოლოდ ქულაა და ნებისმიერ წარმატებას მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. თუმცა, ერთჯერადად არა...

დინამო (ბთ)-ტორპედო

21:00. ბათუმი. აჭახაბეთ ახენა

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი ბათუმში გაიმართება, სადაც ჩემპიონატის ლიდერს ქუთაისის ტორპედო ეწვევა.

ფავორიტად ზღვისპირელები ითვლებიან, რადგან ტორპედოს ისეთი ხმაურიანი სეზონი არ აქვს, როგორც ამას სეზონის წინ ვარაუდობდნენ. თუმცა, რიონისპირულ გუნდს ნებისმიერ დროს შეუძლია ლიდერთა „გამწარება".

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	17	11	5	1	37-19	38
2.საბურთალო	17	10	5	2	38-18	35
3.სამგურალი	17	10	3	4	28-22	33
4.დინამო (თბ)	17	9	4	4	40-26	31
5.დილა	17	8	7	2	25-15	31
6.ტორპედო	17	5	5	7	15-21	20
7.შუქურა	17	3	3	11	22-35	12
8.გაგრა	17	2	5	10	15-29	11
9.სამტრედია	17	3	2	12	14-30	11
10.თელავი	17	2	5	10	11-30	11

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნიკა ამაშუკელი: „მსოფლიო თასზე წასვლა ხუმრობით მომილოცეს"

28 წლის ნიკა ამაშუკელი პირველი ქართველი მსაჯია, რომელიც რაგბის მსოფლიო თასზე იმუშავებს. მეტიც, ამაშუკელი ტიერ 2-ის ქვეყნებიდან კი პირველი რეფერია, რომელიც პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მიიწვიეს. ეს ყველაფერი ნიკამ 4 წლის განმავლობაში გაიარა.

მსოფლიო რაგბის ვებ-გვერდზე ჩვენებურის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

ნიკა ამაშუკელი:

– როდესაც 6 ერის პირველ მატჩზე ვიმსაჯე, ეს ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის გამორჩეული ამბავი იყო, შემდეგ გახლდათ რაგბი ჩემპიონშიპისა და ჩემპიონთა თასის თამაშები. ბოლო დროს კი, მთავარი საკითხი იყო, მსოფლიო თასზე მთავარი მსაჯის რანგში წავიდოდი თუ ასისტენტად მიხმობდნენ. როდესაც გავიგე, რომ ცენტრალური მსაჯი ვიქნებოდი, შოკში აღმოვჩნდი. მსოფლიო რაგბის სამსაჯო კორპუსის მენეჯერმა ჟოელ ჟუტმა დამირეკა და, როგორც აღმოჩნდა, მითხრა – შენს თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია. მცირე პაუზის შემდეგ კი, მსოფლიო თასზე მთავარი მსაჯის რანგში არჩევა მომილოცა. სიხარულისგან ცრემლი წამომივიდა.

იმ დღეებში 24 საათი ტელეფონს დავყურებდი. ეს 3-4 დღე გრძელდებოდა და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო. ვიცოდი, რომ მსაჯები 4 მაისს დუბაიში დაგეგმილ შეხვედრაზე უნდა აერჩიათ, მე კი 7 მაისს დამირეკეს. ჩვენთან მხოლოდ დილის 11 საათი იყო, მაგრამ მეუღლეს ვუთხარი, რომ ღვინის ბოთლი უნდა გაგვეხსნა. მგონი, ზეიმი შუაღამემდე გაგრძელდა. ალბათ, ვერც კი აღვწერ, ეს ფაქტი ჩემთვის რამდენს ნიშნავს. ცხადია, პირველ რიგში ის მინდოდა, რომ მსოფლიო თასზე მორაგბის რანგში აღმოვჩენილიყავი. თუმცა, ბოლოს ვხუმრობდი, რომ თანახმა ვიყავი, იქ წყლის მიმწოდებლის რანგშიც წავსულიყავი.

საქართველოს ნაკრებისთვის ყველაზე წარმატებული 2015 წლის მსოფლიო თასი იყო, თუმცა, ჩემზე ყველაზე დიდი ზეგავლენა 2011 წლის ტურნირმა მოახდინა. მაშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ვთამაშობდი და მატჩებს ერთად ვუყურებდით. ახლაც კი, როდესაც იმ თამაშებს ვუყურებ, ტანში ჟრუანტელი მივლის. უბრალოდ, მსოფლიო თასზე წასვლა ძალიან მინდოდა და როგორც აღვნიშნე, ყველანაირ პოზიციაზე თანახმა ვიყავი. როდესაც მსაჯობაზე გადმოვერთე, ყველაფერი კარგად განვითარდა და ახლა, უკვე აქ ვარ.

პირველი მატჩი, რომელსაც მსოფლიო თასზე ვუყურე, საქართველო-ირლანდია იყო და უეინ ბარნსი მსაჯობდა. ეს ჩემთვის სიმბოლური ამბავია, რადგანაც 13 წლის შემდეგ, ჩვენ ერთად ვიმუშავეთ საშემოდგომო ერთა თასზე შოტლანდიისა და საფრანგეთის მატჩზე, ახლა კი, მსოფლიო თასზეც ერთად ვიქნებით. ბარნს რაგბის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი, 100-ზე მეტი ტესტი აქვს ნამსაჯი და ხუთ მსოფლიო თასზე უმუშავია, ამდენად, დიდი პატივია, რომ მომავალ ტურნირზე მის კომპანიაში ვიქნები. ამ მომენტს მოუთმენლად ველი.

ყვითლები და ლურჯები – ლონდონში უკრაინის მხარდასაჭერი მატჩი გაიმართება

5 აგვისტოს საქველმოქმედო მატჩი გაიმართება. შემოსული თანხა უკრაინის ინფრასტრუქტურას მოხმარდება. უფრო კონკრეტულად კი, ჩერნიგოვის ოლქში მიხაილ კოციუბინსკის სკოლა-ლიცეუმის აღდგენას, რომელიც რუსულმა რაკეტებმა დააზიანა.

მატჩის ინიციატორი ლონდონის ჩელსია, მატჩი კი „სტემფორდ ბრიჯზე" შედგება. მოედანზე ორი გუნდი გავა „ყვითლები" და „ლურჯები", კაპიტნები კი, ჩელსის ყოფილი შემტევი ანდრეი შევჩენკო და ლონდონის არსენალის მოქმედი მცველი ალექსანდრ ზინჩენკო იქნებიან. ორივე მათგანი „იუნაიტედ24"-ის ამბასადორები არიან.

კაპიტნები საკუთარ გუნდებს თანამედროვე ტოპ-ფეხბურთელებისგან შეკრებენ, მაგრამ იქნებიან წარსულში ცნობილი ვეტერანებიც. გუნდები ძირითადად ჩელსის ვარსკვლავური სახელებითა და დანარჩენი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდებიან. შემადგენლობები აგვისტომდე გამოცხადდება. ამავე მატჩის შესვენება ტაიმების ტოლი იქნება – 45 წუთი და კონცერტი გაიმართება.

ბილეთის ღირებულება 28 გირვანქა სტერლინგია, ხოლო ბავშვებისთვის და პენსიონერებისთვის – 15 გირვანქა. კონცერტისთვის უკეთესი საყურებელი ადგილები უფრო ძვირია – 50 და 25. იქნება სპეციალური პაკეტებიც, რომლის ფასი 50 გირვანქიდან 120 გირვანქამდე იქნება.

ანდრეი შევჩენკო:

– საქველმოქმედო მატჩის ჩატარება უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან ერთად ერთი წლის წინ დავიწყეთ, როდესაც „იუნაიტედ 24"-ის პირველი ელჩი გავხდი. ერთია, საორგანიზაციო საკითხებს დრო დასჭირდა. მატჩი იმ სტადიონზე გაიმართება, რომელსაც კარგად ვიცნობ და ბევრი მითამაშია. იმედი მაქვს, სტადიონზე მრავლად მივლენ როგორც ჩელსის, ასევე არსენალის გულშემატკივრები. ასევე ის ადამიანები, რომლებიც უკრაინას სოლიდარობას უცხადებენ.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მხარე ავსტრიაში; 2. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 3. ქართული კონიაკი; 4. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 11. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 12. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 13. ავადმყოფური ღრმა ძილის მდგომარეობა; 14. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი შუა აზიაში; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 17. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 19. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 6. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დისციპლინა; 8. საფრანგეთის კოსმოდრომი გვიანაში; 9. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 10. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 13. მკვრივი ქანების სანგრევი გრძელი წვეტიანი რკინის იარაღი; 14. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 16. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 18. ეკლესიისგან განმდგარი რელიგიური ჯგუფი; 20. აჭარული ხის სახლი; 21. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პრიმადონა; 2. ხორბალი; 3. პიექსი; 4. ჰავრი; 5. ანიელი; 11. ბასტრი; 12. ფროიდი; 14. ლალი; 16. კანბერა; 17. კარტეჩი; 19. მენისკი; 21. ბასრა; 22. მზისა.

თარაზულად: 6. ბრეტიორი; 7. დუაიენი; 8. როდეო; 9. რაფარა; 10. სოტბი; 13. ანწლი; 15. სკეიტბორდი; 18. დიადემა; 20. აული; 21. ბოლერო; 23. კათალიკოსი; 24. ჩედერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ოკაცე; 2. აზალია; 3. ლეპტოპი; 4. ცინცაძე; 5. პრომეთე; 7. ბუნგალო; 11. პროზა; 12. ხენდრო; 13. კომედია; 14. კასკადი; 15. პიკასო; 17. ორბიტა; 19. ვაგა.

თარაზულად: 5. პრიკაზი; 6. კოდექსი; 8. იენა; 9. კობზა; 10. ეგზემა; 11. პეჟო; 13. კომუნიკე; 14. კროკი; 16. ჰონდა; 18. ურეკი; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივნისი

აშშ დოლარი — 2.5972

ევრო — 2.7733

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2122

100 რუსული რუბლი — 3.2021

ამინდის პროგნოზი 1 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანსუ ფატის ბარსელონაში დარჩენა სურს

ბარსელონას შემტევს ანსუ ფატის ბარსელონაში დარჩენა სურს და მან ამის შესახებ უკვე აცნობა ხავის, თუმცა ჯერ ბარსელონას ფატისთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. რამდენიმე კვირის წინ აქტიურად მიდიოდა საუბრები იმის შესახებ, რომ ფატის ბარსელონას დატოვება სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა.

პოჩეტინო: „შემიძლია ჩელსის დიდება დავუბრუნო“

ჩელსის ახალი მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინოა, რომელიც ბოლო ერთი წლის მანძილზე არცერთ გუნდში არ მუშაობდა, თუმცა მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და, როგორც ჩანს, ჩელსიმ ეს გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო. პოჩეტინომ განაცხადა, რომ მისთვის ჩელსიში მუშაობა დიდი პატივია: „მიხარია, რომ ჩელსიმ ნდობა გამომიცხადა და ვალდებული ვარ, ნდობა გავამართლო. ჩელსის დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენ შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა.

ბენზემა დიდი ალბათობით რეალს დატოვებს

მადრიდის რეალის ფრანგი ლეგენდა კარიმ ბენზემა, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს, რადგან მადრიდული გუნდი არ აპირებს მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას და შესაძლოა ბენზემა საფრანგეთში დაბრუნდეს. თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. ბენზემა რეალში 2009 წელს გადავიდა და ის გუნდის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ტურისტ გოგონას ზვიგენმა ფეხი მოაგლიჯა

ტერკსისა და კაიკოსის კუნძულზე დასასვენებლად ჩასულმა ამერიკის კონეკტიკუტის შტატის მცხოვრებმა 22 წლის ტურისტმა გოგონამ ზვიგენის თავდასხმის შედეგად ფეხი დაკარგა.

გოგონა მეგობართან ერთად 24 მაისს წყალქვეშ ცურვით იყო დაკავებული, როდესაც მას თავს ზვიგენი დაესხა. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, კურორტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სამაშველო სამსახურში დარეკა და მომხდარის შესახებ აცნობა.

– კურორტის თანამშრომლის თქმით, მტაცებელმა თევზმა გოგონას ფეხი მოაჭამა, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

მალვე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ პოლიციელები და სასწრაფო დახმარების ჯგუფი. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს. უცნობია, თუ რა მდგომარეობაშია ამ დროისთვის დაშავებული ტურისტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ივნისისათვის

ვერძი – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. **კვრო** – დღე წინასწარ დაგეგმეთ. ყოველგვარი აგრესია გამორიცხეთ. სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე უარესდება. ნებისმიერი საბანკო ოპერაციისაგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანთან კონტაქტი იღბლიანი იქნება. მთელი ყურადღება საქმეს დაუთმეთ. **ქალწული** – მაცდურ შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში წვრილმანი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. თავი შეიკავეთ ინიციატივის გამოვლენისაგან. **მერწყული** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალები მამაკაცებზე დიდხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ მათ სიდედრი არ ჰყავთ.

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა ვაჩუქო ცოლს შეყვარებულების დღეს?

– რა უნდა აჩუქო, შეყვარებულების დღეა, ცოლების კი არა.

მდიდრული სახლის პატრონებმა დასასვენებლად წასვლის წინ ჭიშკარზე წარწერა გამოკიდეს:

„ფრთხილად, ეზოში ძალიან ავი ძაღლია!“

უკან დაბრუნებულებს სახლი გაძარცვული დახვდათ, ხოლო ჭიშკარზე წერია:

„ძაღლს ცილი რატომ დასწამეთ?!“

ქმარი ცოლს ეუბნება:

– უკანასკნელად გაფრთხილებ, ჩემში მხეცი არ გააღვიძო!

– ოჰ, შენი წრუწუნასი სულაც არ მეშინია!

უფროსი მდივანს ეუბნება:

– სასწრაფოდ ყველა თანამშრომელს უხმე თათბირზე.

– სელექტორით?

– არა, ფეისბუქით, ასე უფრო სწრაფად იქნება!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თაკო ნაცვლიშვილი გათხოვდა

მოდელი თაკო ნაცვლიშვილი გათხოვდა. მან და მისმა რჩეულმა ოთო ხუროძემ ულამაზესი ქორწილი გადაიხადეს, სადაც ოჯახის წევრები, მეგობრები და უახლოესი ადამიანები მიიწვიეს.

ოთოსა და თაკოს გაბედნიერების ამსახველი ფოტოები და ვიდეოები ინტერნეტში გავრცელდა. წყვილმა ბევრი მოწონება და საუკეთესო სურვილი დაიმსახურა.

ბარბარა მახათაძემ ესპანურ „ვოისში“ ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა

11 წლის ქართველმა მომღერალმა ბარბარა მახათაძემ ესპანურ საბავშვო „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა და ბრმა მოსმენის ტურში ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა.

ბარბარამ ლეგენდარული ჯგუფის „რედიოჰედის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰიტი შეასრულა და დარბაზისა და ჟიურის ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

დათა პაპას ფილმი მიუძღვნეს

„სახლი არ დატოვო“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელიც ხურვალეთში საოკუპაციო ხაზს მილმა მცხოვრებ დათა პაპას მიეძღვნა. მან რუსი ოკუპანტების ზეწოლას ღირსეულად გაუძლო და მშობლიური სახლ-კარი არ დატოვა. გარდაცვალების წინ კი მეუღლესაც იგივე დაუბარა.

მარი ბექაური, მწერალი:

– მოვედი ფილმის დახურული ჩვენებიდან. რამდენ სცენარზე მიმუშავია, მაგრამ არასდროს მიტირია უკვე გადაღებულის ნახვისას. ხო მე თვითონ დავწერე, ზეპირად ვიცოდი ყველა სიტყვა და მოქმედება, მაგრამ მაინც ცრემლები მომადგა.

„სახლი არ დატოვო“ – ასე ჰქვია ფილმს და დათა პაპას ამბავზეა.

ძალიან მინდა, ეს ფილმი ბევრ ქვეყანაში აჩვენონ ფესტივალებზე. რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს, რა არის დამპალი რუსეთი და რუსეთისგან გაუბედურებული ადამიანების ცხოვრება. კი ნახა უკვე მსოფლიომ რუსეთ-უკრაინის ომით, მაგრამ მინდა, რომ ჩვენი, ქართველების ხმაც გაისმას. დათი ჯაფარიძე, მადლობა შენ, რომ ამ ფილმზე მუშაობის საშუალება მომეცი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თინათინ ყაჯრიშვილი ბრალდებებს პასუხობს

რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი მისი კოლეგის, ნინო შაბურიშვილის ბრალდებებს პასუხობს:

– მინდა კომენტარი გავაკეთო იმ ცილისწამებაზე, რაც ჩემი დისკრედიტაციის მიზნით გაავრცელა ნინო შაბურიშვილმა: სოციალური ქსელი არაერთხელ გამხდარა ცილისწამების ინსტრუმენტი და, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ცალმხრივად გაჟღერებული მოვლენები დასკვნების გაკეთების საბაბად იქცა. მე მხოლოდ ფაქტებს გავაჟღერებ. ჩემი და ნინოს ურთიერთობა 2015 წლიდან დაიწყო, როდესაც მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმის შექმნაში დავეხმარე. მოგვიანებით, პანდემიის დროს წერდა და მიგზავნიდა სცენარის დრაფტებს. ასე ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა „სიჩუმის ქაოსი“. კინოცენტრის კონკურსის წინ მოულოდნელად გამომიცხადა, შენ თვითონ რეჟისორი ხარ და შენს ფილმებზე უფრო იზრუნე, ვიდრე ჩემსაზეო და გადაწყვიტა სხვა პროდიუსერებთან თანამშრომლობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბოდიშებით და თხოვნით ისევ ჩემთან დაბრუნდა. ჩვენ ერთად დავიწყეთ ხანგრძლივი და რთული გზა, საბოლოოდ ვენეციის ბიენალე კოლეჯის სელექციაში მოვხვდით.

დაახლოებით მაგ მომენტიდან დაიწყო ნინოს რიტორიკასა და საქციელში ცვლილებები. ეს შესამჩნევი გახდა ბიენალეს ტუტორებისთვისაც. დავარწმუნე გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ის დიდი წნეხია, რაც შეიძლება ოცნების რეალობად გადაქცევამ გამოიწვიოს. თავიდან ეს მეტწილად სიმართლე იყო. სამწუხაროდ, ჩემი იმედები, რომ ნერვიული ფონი გაივლიდა და ნინო ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა, არ გამართლდა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ის სიტუაციის მძევლად იქცა, სულ იმაზე ლაპარაკობდა, რომ ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, რომ ყველაფერი იდეალურად უნდა იყოს, ამას ემატებოდა საუბრები იმაზე, რომ ფული არ აქვს, მარტოხელა დედაა და სახლი არ აქვს, რომ სახლი უნდა იყიდოს, რომ ამ ფილმის გადაღებით რეჟისორის კარიერა უნდა აიწყოს და ა.შ. წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ მოიქცია თავი.

როდესაც ფილმწარმოების მოსამზადებელ პერიოდში შევედით, ჩვენი კომუნიკაცია უკვე მხოლოდ მისი მონოლოგებით შემოიფარგლებოდა. ნებისმიერი რჩევა თუ რისკის გათვალისწინების თხოვნა ნინოს ისტერიებით მთავრდებოდა. ის ტყუის, თითქოს ვინმესთან მუშაობას ვუკრძალავდი, სინამდვილეში ყველაფერზე ვეთანხმებოდი, რომ მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამძაფრებულიყო. მისი ინტერესებიდან გამომდინარე ვთხოვდი, რომ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებისას ალტერნატიული ვარიანტებიც ჰქონოდა. მაგალითად, ნინომ გადაწყვიტა როლზე დაემტკიცებინა 94 წლის მსახიობი. ნებისმიერ გამოცდილ რეჟისორს და პროდიუსერს ესმის ამ გადაწყვეტილების რისკი, ვთხოვე, ალტერნატივაც მოეძებნა. ამან მასში კატასტროფული რეაქცია გამოიწვია, დამადანაშაულა, რომ რისკის ხსენების გამო კოსმოსური ენერგიები და ღმერთი განსაცდელს გამოგვიგზავნიდა... მერწმუნეთ, რთულია ასეთ რეალობაში მუშაობა.

შემდეგი ეტაპი უკვე იყო პარანოია და მის წინააღმდეგ შეთქმულების შიში. სიტუაცია საგანგაშო გახდა, როდესაც ნინომ ბიენალეს კურატორი დაადანაშაულა ჩემთან შეთქმულებაში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ ადამიანმა იგივე უთხრა,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ცირკის მომთვინიერებელთა გრძელი შოლტი; 2. ხვიარა მცენარეებით გამწვანებული საჩრდილობლები პარკებში; 3. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 4. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 14. ტროპიკული ბალახოვანი მცენარე, რომლის ბოჭკოსგან ამზადებენ თოკებს, უხეშ ქსოვილებს; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

თარაზულად: 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. მინერალური წყალი ხარაგაულის რაიონში; 9. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 10. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. აეროპორტი პარიზში; 21. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა